

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი  
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების  
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ვახტანგ გოილაძე

ვახტანგ ბორბასაძი

მეომრის ბიბლიოთეკა №11

თბილისი  
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეთერთმეტე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფეებს: ვახტანგ გორგასალს, დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **მარიამ ჩხარტიშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლეილა ხურცია**  
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**  
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის  
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20  
ტელ.: +995 32 91-19-83  
ფაქსი: +995 32 91-19-83

ვახტანგ გორგასლის ისტორიის ასპარეზზე გამოსვლისას, ქართლის სამეფოს მეზობლად სამი იმპერია მძლავრობდა. ტრადიციული მოწინააღმდეგეების, სასანიანთა ირანისა და ბიზანტიის გარდა, ქართლს საფრთხეს ჩრდილო კავკასიისა და შავი ზღვის მიმდებარე ველებზე ახლად შექმნილი ჰუნთა უზარმაზარი გაერთიანებაც უქმნიდა.

ცენტრალური აზიიდან წამოსული დაბალტანიანი, მუქკანიანი, დიდთავა და უწვერო დამპყრობლები, რომელთა აგრესიისაგან ჩინელები დიდმა კედელმაც კი ვერ იხსნა, აღმოსავლეთ ევროპას IV ს-ის 70-იან წლებში მოადგნენ. იქ მომთაბარე სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომები დაიმორჩილეს და მდ. ვოლგის დასავლეთი ნაპირიდან მდ. დუნაის აღმოსავლეთით მდებარე ველებამდე ჰუნების იმპერია შექმნეს, რის გამოც, აღმოსავლეთ ევროპაში ახალი სამხედრო წესრიგი დამყარდა. ისტორიის ასპარეზზე მთავარსარდალთა ახალი სახელები გამოჩნდა – ერთ-ერთი ასეთი იყო ჰუნთა ბელადი ატილა.

V ს-ის 40-იან წლებში, როცა ვახტანგ გორგასალმა, ჩრდილო კავკასიაში თავისი პირველი ლაშქრობა მოაწყო, ევროპაში ორი გამოჩენილი მხედართმთავრის: ატილასა და რომაელი სარდლის აეციუსის სახელები გვრგვინავდა. აი, ამ პიროვნებათა უმცროსი თანამედროვე იყო ვახტანგ გორგასალი.

კითხვაზე, ვინ იყვნენ დასახელებული პირები? თითქმის ყველა გეტყვით: ატილა ჰუნთა ბელადი იყო (სასკოლო სახელმძღვანელოებში ასწავლიდნენ „ატილას ცხენის ფეხის ნადგამზე ბალახი აღარ ამოდის“), აეციუსის სახელი კი მხოლოდ ისტორიკოსთა ვიწრო წრისთვისაა ცნობილი. ატილას სახელს ღიძება იმან შესძინა, ევროპის განადგურებას რომ ცდილობდა. აეციუსმა კი ევროპა მისგან იხსნა. მხედველობაში მაქვს 451 წელს ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში – კატალაუნის ველზე გამართული ე.წ. „ხალხთა ბრძოლა“, სადაც რომაელებმა და მათმა მოკავშირეებმა, აეციუსის სარდლობით ატილას ურდოები გაანადგურეს.

აეციუსი, როგორც მდ. დუნაის პროვინციებში მოსამსახურე რომაელი სარდლის ძე, ყმაწვილობისას მძევლად იყო დუნაის გადაღმა მომთაბარე ჰუნთა მეფის კარზე და ბარბაროს უფლისწულებთან – ჰუნთა მომავალ მეფეებთან: ატილასთან და მის ძმასთან ერთად იზრდებოდა. აეციუსი შემდეგში ასეთივე სტატუსით იმყოფებოდა გერმანელებთან. აეციუსმა ამ გარემოში შეისწავლა არა მარტო ამ ბარბაროსთა ენა, არამედ მომავალ მოწინააღმდეგეთა სამხედრო ხელოვნება, ბრძოლის მეთოდები. ამის გამო იყო, რომ იგი ბრწყინვალედ ახერხებდა რომის არმიაში მყოფ ბარბაროსთა მართვას. ძველი გერმანელი ისტორიკოსის სიტყვით, „აეციუსი რომის იმპერიის კეთილდღეობისათვის იყო დაბადებული“.

451 წლის გამარჯვების შემდეგ აეციუსი სასახლის ინტრიგებს შეეწირა. იგი 454 წლის 21 სექტემბერს იმპერატორ ვალენტინიან III-ის ბრძანებით მოკლეს, ხოლო ატილა 453 წელს, საკუთარი ქორწილის ღამეს მკვდარი ნახეს.

ასე დასრულდა ვახტანგ მეფის ორი უფროსი თანამედროვის – უდიდესი მხედართმთავრების ცხოვრება. ამ ქვეყნიდან მათი წასვლისას ვახტანგ გორგასალს უკვე არაერთი ბრძოლა ჰქონდა მოგებული. მათზე არანაკლებ იცნობდა ბრძოლის ხერხებს, ლაშქრის წყობას, უძლეველი იყო ორთაბრძოლაში. ყოველივე ამის შესახებ ქვემოთ მოვითხრობთ.

\* \* \*

ვახტანგ გორგასალი ქართველ მოღვაწეთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელთაც ჯერ კიდევ თანამედროვეებმა უწოდეს „დიდი“. დიდად, თუნდაც ქართველ მეფეთაგან, საქართველოს ისტორიაში არც ისე ბევრი მოიხსენიება. ვახტანგ გორგასალი ამ მხრივ ერთ-ერთი პირველია.

ვახტანგ გორგასალი ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს, ახალი ქართლის სამეფოს შექმნელისა და ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის დამაარსებლის – ფარნავაზის ერთ-ერთი გამოჩენილი შთამომავალი იყო. ვახტანგ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ძირითადად, მის თანადროულად შექმნილი საისტორიო თხზულებიდან (მას „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ეწოდება) ვიცით. ამ თხზულების ავტორად ვახტანგის სპასპეტი – ჯუანშერ ჯუანშერიანი ითვლება. ვახტანგის „ცხოვრებამ“ XI საუკუნეში გარკვეული რედაქციული ცვლილება განიცადა, რის შედეგადაც, ვახტანგ გორგასლის პიროვნება ლეგენდარული ელფერით შეიმოსა. მის „ცხოვრებაში“ არაერთი ლეგენდარული ამბავი იქნა ჩართული, რაც შემდეგმა გარემოებამ განაპირობა:

მიუხედავად იმისა, რომ XI საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის დროიდან 500 მეტი წელი იყო გასული, ვახტანგ გორგასლის პიროვნებისადმი ინტერესი, პატივისცემა და სიყვარული მაინც დიდი იყო. ასეთი პატივისცემისათვის ქართლის სამეფოს დედაქალაქად თბილისის გამოსაცხადებლად დაწყებული სააღმშენებლო სამუშაოებიც კმაროდა. ირანელებთან ბრძოლისას სასიკვდილო ჭრილობის მიღების გამო, მართალია, ვახტანგ მეფემ ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის დამთავრება ვერ მოასწრო, სამუშაოები „დაჩი მეფემ განასრულა“ და „ვითარ ებრძანა ვახტანგს, იგი (თბილისი ვ.გ.) შექმნა სახლად სამეფოდ“, ქართული საისტორიო ტრადიცია ვახტანგ გორგასალს მაინც თბილისის დამაარსებლად თვლის.

რა თქმა უნდა, მეფე, რომლის სახელი ქვეყნის დედაქალაქის დაარსებას უკავშირდება, ქართველი ხალხის თვალში ადრევე შარავანდედით შეიმოსებოდა. ამიტომ, ცხადია, იმ ისტორიულ პირთა შორის, რომელნიც საქართველოს გმირულ წარსულს ამშვენებენ, ვახტანგ გორგასალს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ხალხის წინაშე უდიდესი ღვაწლის გამო, ვახტანგ გორგასლის სახელი ადრინდელე შარავანდედით რომ შეიმოსა, შემთხვევითი არ იყო.

ქართველი ხალხის წინაშე ვახტანგ გორგასლის ღვაწლი და დამსახურება, რა თქმა უნდა, მხოლოდ აღნიშნულით არ განისაზღვრება. XI საუკუნის II ნახევარში, როცა ვახტანგის „ცხოვრებაში“ ლეგენდარული ამბები ჩართეს, მემკვიდრეებმა კარგად იცოდნენ მისი დიდი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე: ბრძოლა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ; რომაელთაგან მიტაცებული ძველი ქართული მიწების დაბრუნება; ანტიირანული აჯანყება 482-484 წლებში; ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) მოპოვება და ახალი საეპისკოპოსოების დაარსება; დიდი საერო (ქალაქების: არტანუჯი, უჯარმა, თბილისი და სხვა) და საეკლესიო (სვეტიცხოველი, ნინოწმიდა, ნიქოზი, ნეკრესი და სხვა) მშენებლობა.

ვახტანგ გორგასალი, თავისი დროისათვის უძლეველი მებრძოლი და გამოჩენილი სარდალი, ქართველი მხედრობით, ირანის შაჰების მოთხოვნით, მონაწილეობდა ბიზანტიის წინააღმდეგ ომებში, ჩრდილო კავკასიაში, შუა აზიაში, ინდოეთში და აბაშეთში\* ებრძოდა ჰუნებს, რომლებიც იმ ხანად ირანის იმპერიისათვის ყველაზე ძლიერ და საშიშ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენდნენ (ჩრდილო კავკასიის მიმდებარე და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მომთაბარე ჰუნ-თურქთა ძლიერი გაერთიანებებისათვის დარიალის კარის ჩაკეტვა ირანის შაჰების მიერ, ერთხანს, სწორედ ქართველებს ჰქონდათ დავალებული). რაც მთავარია, ვახტანგ გორგასალის სარდლობით ქართველთა მონაწილეობა ირანის მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში შაჰებისათვის ხშირად გადაძვრეტი გამარჯვების მომტანი იყო.

ვახტანგ გორგასალი დიდი ფიგურა და გამოჩენილი პიროვნება რომ იყო მაშინდელ საერთაშორისო ასპარეზზე, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მასთან დანათესავებას ესწრაფვოდნენ არა მარტო ბიზანტიის იმპერატორები, არამედ ქართლის სამეფოს მაშინდელი სიუზერენნი – ირანის შაჰებიც კი. მათ კარგად იცოდნენ, ასეთი დანათესავება გარკვეულად ვახტანგის პოლიტიკურ ორიენტაციასაც განსაზღვრავდა.

ირანელებთან „იორსა ზედა“ ბრძოლაში ვახტანგ გორგასლის სასიკვდილოდ დაჭრისა და უჯარმაში გარდაცვალების შემდეგ, მისი შთამომავლობის ზეობის ხანაში ქართლის სამეფომ ჯერ 482-484 წლების ანტიირანული აჯანყების შედეგად მოპოვებული შეღავათები დაკარგა, შემდეგ, დაახლოებით 537 წელს ირანის შაჰინ-შაჰმა ხოსრო I-მა სასანიანმა (531-579 წწ.) (მისი ზედწოდება იყო „ანუშირვანი“, რაც ქართულად „უკვდავ სულს“ ნიშნავს) ქართლში სამეფო ხელისუფლება გააუქმა. იმ დროისათვის უკვე რვაასწლიანი ისტორიის მქონე ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ჩამომავალი – მეფე ბაკური ხოსრო I-მა ტახტიდან გადააყენა, ქართლი ირანის პროვინციად გადააქცია. მეფე ბაკური იძულებული გახდა კახეთის მთიანეთისათვის შეეფარებინა თავი.

ვახტანგ გორგასლის ძლევაშემოსილ გამარჯვებათა შემდეგ, მართალია, ქართველმა ხალხმა დიდი ძნელებელობა გაიარა, მაგრამ გმირი მეფის შესახებ მაღლიერი შთამომავლობა ლეგენდებს თხზავდა, ხოლო საბრძოლო დროშას, აბჯარსა და სამოსელს სათუთად ინახავდა, უვლიდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ვახტანგ გორგასლის სამხედრო იარაღი და სამოსელი თურმე არსენ

კათალიკოსის (IX ს.) დროსაც კი ინახებოდა. „გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა“ ვახტანგის სამოსელი და აბჯარი – წერს არსენი, – „აწცა საცნაურ არს“-ო.

საუკუნეთა მანძილზე „გორგასლიანი“ დროშა ქართველებს უმძიმესი ბრძოლების ჟამს თავიანთი დიდი წინაპრის საგმირო საქმეებით აღაფრთოვანებდა. თვით დავით აღმაშენებლისა და თამარის ბრწყინვალე ეპოქაშიც კი, ვახტანგ გორგასლის კულტი იმდენად ძლიერი იყო, რომ „გორგასალიანი“ დროშა „დიდ ლაშქრობათა დროს კვლავ ჯარის წინ მიჰქონდათ“. 1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ასულმა დავით IV აღმაშენებელმა, მართალია, ახალი საბრძოლო დროშა შემოიღო, მაგრამ დიდ ბრძოლებში „გორგასლიანი“ დროშა მაინც გაჰქონდათ. „გორგასლიანი“ დროშა დავითის დროსაც ისევ ქართველთა ძველი გმირობისა და ვაჟკაცობის, მტერზე გამარჯვების სიმბოლოდ რომ რჩებოდა, ამას იოანე შავთელის (XII-XIII სს.) „აბღულ-მესიდიან“ ქვემოძოყვანილი სტროფიც მოწმობს:

„იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა  
გულის-მდებელად თვისთა სპათათვის,  
გორგასლიანი, დავითიანი  
დროშა იახლის მსვრელად მტერთათვის“.

თამარ მეფის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დროშა, რომელიც ქართველ ლაშქარს ბრძოლებში მიჰქონდა, სწორედ „დროშა იგი გორგასლიანი“ იყო, „რომელი სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკტებოდა“.

ქართველი ხალხის სიყვარული თავისი დიდი წინაპრის – ვახტანგ გორგასლისადმი მხოლოდ მისი „სამოსლისა და აბჯრის“, „გორგასლიანი“ დროშისადმი პატივისცემითა და მოკრძალებით რომ არ განისაზღვრებოდა, ამას ძველ დროში შექმნილი და დღემდე შემონახული, საყოველთაოდ ცნობილი ხალხური ლექსიც მოწმობს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,  
ციდან ჩამოესმა რეკა,  
იალბუზზე ფეხი შედგა,  
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.  
ოსებში გადაიარა,  
ჩერქეზები გადარეკა“.

ვახტანგ გორგასლის სახელს ომში მყოფი ქართველები არა მარტო XI-XIII საუკუნეებში, უფრო გვიანი ხანის საქართველოშიც რომ სიამაყით იგონებდნენ, ამას მოწმობს გრიგოლ ორბელიანის პოემაში – „სადღეგრძელო“ ვახტანგისადმი მიძღვნილი სიტყვები:

„ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,  
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდნენ“.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, გმირი მეფის ფიზიკური სიძლიერის, ცხოვრებისა და ბრძოლების შესახებ ხალხმა ისეთი ლეგენდარული ამბები შეთხზა, რომ ვახტანგის თანამედროვე ავტორის მიერ შედგენილი, მისი

მოღვაწეობის ამსახველი თხზულება აღმავლობის გზაზე შემდგარი ქართული ფეოდალური საზოგადოების სულიერ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. როგორც ჩანს, ამის გამო, XI საუკუნეში ქართველმა ისტორიკოსმა ძველი ტექსტი ვახტანგის ღვაწლისა და გმირობის გადმოსაცემად არასაკმარისად მიიჩნია, „ვახტანგის ცხოვრება“, მისი დროისათვის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებული ლეგენდარული ხასიათის ამბებით შეავსო და „სარაინდო“ შინაარსის თხზულება შექმნა. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მასში ზუსტადაა ასახული ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა და მისი თანადროული ქართლის სამეფოს ისტორიის ძირითადი მოვლენები.

XI საუკუნეში „ვახტანგის ცხოვრებაში“ („ცხოვრება“ ძველად ისტორიას ნიშნავდა) რედაქტორს რომ ცვლილებები შეჰქონდა, ეს გასაკვირი არაა. ამ რედაქტორისა და მისი დროის ქართული საზოგადოების თვალში – პიროვნება, რომლის დროშა ომებში ლაშქრის წინ მიჰქონდათ, მოლაშქრეთა წარმოდგენაში უძლეველი გმირი, დაუმარცხებელი მეფე უნდა ყოფილიყო. ისეთი მეფე, რომელსაც ასიათასობით მეომარი ჰყავდა.

სამწუხაროდ, ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწის – ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ზუსტი წლები ამ უკანასკნელ ხანებამდე გარკვეული არ იყო. საქმეს ის ართულებდა, რომ თარიღი, საიდანაც მისი „ცხოვრების“ ავტორს – ჯუანშერს ვახტანგის მოღვაწეობისა და ქართლში მომხდარი ამბები აქვს ათვლილი, იმთავითვე არ არსებობდა. ჯუანშერი ათვლას ვახტანგის დაბადებიდან იწყებს და მოგვითხრობს, ვახტანგი 7 წლის რომ გახდა მამა გაერდაეცვალა და ასე შემდეგ. მემატთანე თხრობას ირანელებთან „იორსა ზედა“ ბრძოლაში დაჭრილი 60 წელს მიღწეული მეფის გარდაცვალებით ამთავრებს. ე.ი. თუ გვეცოდინება ამ ბრძოლის თარიღი, ვახტანგის დაბადების წელსაც ზუსტად გავარკვევთ.

ვახუშტი ბატონიშვილიდან (გარდაიცვალა 1757 წ.) დაწყებული, მკვლევრები დიდი გულმოდგინებით ეძებდნენ ამ ომის თარიღს, მაგრამ იგი ვერც ძველ ქართულ და ვერც უცხოენოვან წყაროებში ვერ იქნა მიკვლეული. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა, სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღი, თითქმის, 50 წლის ფარგლებში – 484-დან 532 წლამდე რომ მერყეობდა.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული 502 წელი იყო მიღებული, მაგრამ ჯერ კიდევ 1962 წელს ისტორიკოსმა ლაშა ჯანაშიამ დეტალურად გაანალიზა საისტორიო წყაროთა მონაცემები და აღნიშნა: 502 წელი არ შეესაბამება ისტორიულ რეალობას, ჩვენს ხელთ არსებული ცნობები საშუალებას არ იძლევიან ზუსტად დავათარილოთ ვახტანგ გორგასლის მეფობა. ჯერჯერობით ჩვენ უნდა დაგვკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ვახტანგი მეფობდა V საუკუნის მეორე ნახევარში.

ლაშა ჯანაშიას ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ არაერთმა მკვლევარმა კვლავ სცადა ვახტანგ გორგასლის ცხოვრების წლების დადგენა, მაგრამ უშედეგოდ.

ყურადღება მივაქციე ახალ წყაროს „ფირან გუშნასპის მარტვილობა“. ამ თხზულებაში ქართლ-ალბანეთის მარზპანის\* – ფირან გუშნასპის გაქრისტიანებისა და ირანის შაჰის მიერ მისი სიკვდილით დასჯის ამბავია გადმოცემული. ეს პიროვნება ქართველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ქართლის მარზპანის – არვანდ გუშნასპის უფროსი ძმა იყო. მარზპანებს ქართლსა და ალბანეთში მდგარი ჯარების სარდლობა, ამ ორი ქვეყნის გამგეობა ევალებოდათ. გუშნასპთა (იგივე მიჰრანთა) საგვარეულო ირანის იმპერიაში დიდი გავლენით სარგებლობდა. მათ ძირითადად სამხედრო თანამდებობები ეკავათ. ხშირად იყვნენ ირანის ჯარების მთავარსარდლები.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო ცნობას. სირიელი აგიოგრაფის თანახმად, ფირან გუშნასპის მარზპანობისას „როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო... (ზავის დადების) მეორმოცე წელს ტახტზე ავიდა ხოსრო“.

ძველში მოხსენიებული „გურზანი“ ქართლის სირიული სახელია, „არანი“ ძველ ალბანეთს ერქვა. მეფე „ხოსროში“ ირანის შაჰინ-შაჰი ხოსრო I ანუშირვანი იგულისხმება. იგი 531 წელს ავიდა ირანის ტახტზე. მეორე მხრივ, აგიოგრაფის თანახმად, მისი გამეფების წელი რადგან ამიერკავკასიაში „გურზანისა და არანისათვის“ მიმდინარე ომის დამთავრების (ზავის დადებიდან) მეორმოცე წელი იყო, ირანსა და ბიზანტიას შორის ზავი (531-40) 491 წელს დადებულა.

სათანადო მასალის გაანალიზების შემდეგ გაირკვა: ჯუანშერის მიერ აღწერილი „იორსა ზედა“ ბრძოლა, სადაც ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ დაიჭრა, ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მომხდარი, ირან-ბიზანტიის ომის, ერთი ეპიზოდი იყო. ე.ი. სირიელი აგიოგრაფი და ჯუანშერი 491 წლის ირან-ბიზანტიის ომის ერთი ბრძოლის შესახებ მოგვითხრობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალება ჩემს მიერ 491 წლით იქნა დათარიღებული. გარდაცვალებისას ვახტანგ მეფე რადგან 60 წელს იყო მიღწეული, მისი დაბადება (491-60) 431 წელზე მოვა. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორს – ჯუანშერს სწორედ 431 წლიდან აქვს ათვლილი ვახტანგის ცხოვრებისა და ქართლის სამეფოში მომხდარი ამბები. ამ მიკვლევის შემდეგ, შესაძლებელი გახდა ზუსტად განმესაზღვრა ვახტანგის მამის – მეფე მირდატის გარდაცვალების, ვახტანგის დების, მისი ძეების დაბადების წლები და იმდროინდელ ქართლის სამეფოში მომხდარი სხვა მრავალი ამბავი.

ვახტანგ გორგასალი და მისი წინაპრები, ფარნავაზიანთა დინასტიას განეკუთვნებოდნენ, მაგრამ საქართველოს ძველ ისტორიაში გაუცნობიერებელი ზოგი პირისაგან ხშირად გაიგონებთ, ვახტანგი წარმოშობით სპარსი იყო, რაც სრულიად გაუმართლებელია.

საქმე ისაა, რომ ძველთაგანვე საქართველოს დიდ საგვარეულოებში გაჩნდა ტენდენცია, თავიანთი საგვარეულოს ფუძემდებლად უცხოეთიდან მოსული პიროვნება გამოეცხადებინათ ან თავიანთი გვარი უცხოელ საგვარეულოსთან დაეკავშირებინათ. ასე იყო სამეფო გვარშიც – ბაგრატიონები თავიანთ წინაპრებად ძველ ებრაელ მეფეებს: სოლომონსა და დავითს თვლიდნენ.



ფარნავაზ მეფის შთამომავლებიდან სწორედ მირიანის „ცხოვრებაში“ იქნა ასეთი ჩასწორება შეტანილი. XI ს-ის მემატიანემ ლეონტი მროველმა მირიანი ირანის შაჰის ძედ გამოაცხადა, მიჰრანთა საგვარეულოს ქალისაგან ნაშობად\*.

ვახტანგ გორგასალი კი მირიანის უმცროსი ძის – ბაკურის (ბაქარის) უშუალო შთამომავალი იყო.

ვახტანგ გორგასალი მამის მხრივ, როგორც ვნახეთ, იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ფარნავაზიანთა დინასტიის შთამომავალი იყო (ვახტანგის მოღვაწეობის დროისათვის ფარნავაზიანთა\* დინასტია ქართლის ახალი სამეფოს შექმნიდან – ძვ. წ. 301 წ., თითქმის 8 საუკუნეს აითვლიდა). დედა კი მას სპარსელი ჰყავდა, ქართლ-ალბანეთის მარზპანის-ბარზაბოდის ასული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარზაბოდიც მიჰრან-გუმნასპთა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო. ასე რომ, დედის მხრივ ვახტანგ მეფე ირანის ერთ-ერთი განთქმული საგვარეულოს ჩამომავალი იყო.

ქართლ-ალბანეთის მარზპანთა ძირითადი რეზიდენცია ქ. ბარდა (ბარდავი) (ამჟამად პატარა ქალაქია აზერბაიჯანში) იყო. იქიდან განაგებდნენ ისინი ამ ორ ქვეყანას.

როგორც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაშია“ ნათქვამი, ვახტანგის პაპა მეფე არჩილი (402-426 წწ.), მაინცდამაინც დიდად არ მორჩილებდა ბარზაბოდს. მან „განაცხადა მტრობა სპარსთა, გამოაჩინნა ჯუარნი და მოკაზმნა ეკლესიანი, მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა; მოირთო ძალი საბერძნეთით (ე.ი. ბიზანტიიდან, ვ.გ.) და წარძღუანებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა“. ეს ბრძოლა, როგორც აღვნიშნე, ძირითადად ბარდაში მჯდომი მარზპანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში გამოიხატებოდა. ბარზაბოდი ურჩ ქვეშევრდომს, რა თქმა უნდა, ასეთ ქმედებას არ აპატიებდა. მან „შეკრიბა სპა რანისა, მოვაკანისა და ადარბადაგანისა და მომართა არჩილს“. მეფე არჩილი, ქართლის ჯარით „მინდობითა ღმრთისათა“ ბარზაბოდს ქართლ-ალბანეთის საზღვარზე „მდინარესა ზედა ბერდუჯისასა“ დახვდა „და ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა მოსრნა და ტყუე-ყვნა“ ბარზაბოდის მებრძოლები. შემდეგ შევიდა ალბანეთის ტერიტორიაზე მოარბია იგი და „მოვიდა შინა გამარჯვებული“. მთელ სამეფოს ამცნო ჯვრის ძალით ცეცხლთაყვანისმცემელ ბარზაბოდზე გამარჯვების ამბავი.

ბარზაბოდის წინააღმდეგ არანაკლები სიმამაცით იბრძოდა არჩილ მეფის ძე მირდატი. მამასავით ისიც „მორწმუნე და ღმრთის მსახური“, „ქუელი და შემმართებელი“ იყო. როცა მირდატი „დადგა ასაკსა მამაკაცობისასა,“ „უმეტესად უწყო ბრძოლად სპარსთა, შესვლად და ტყუენვად“ ალბანეთს. ძველი ქართველი ავტორის ცნობით, ქართველთა ასეთ გააქტიურებას ირანის შაჰი ვერ პასუხობდა, რადგან „ბრძოდა ინდოთა და სინდთა და აბაშთა, და ვერ შემძლებელ იყო სპისა დიდსა გამოგზავნად“. ამიტომ „ემძლავრებოდეს ქართველნი“.

მართალია, ბარზაბოდი ციხეებსა და ქალაქებს ამაგრებდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლოდა, სანამ მირდატის ცხოვრებაში გარდამტეხი ამბავი არ მოხდა. იმ

ზანად უფლისწული მირდატი უცოლო იყო, ზოლო ბარზაბოდს, მემატთანეს თქმით, „ესუა ასული ქმნულკეთილი, შუენიერი, რომელსა ერქუა საგდუხტ“.

ერთხელაც, მირდატს მხლებლებმა მოახსენეს „სიშუენიერე მისი“. საგდუხტის სილამაზით მონუსხული „ტრფიალ იქმნა მირდატ მის ზედა.“ ამის შემდეგ მირდატს, რა თქმა უნდა, არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა ბარზაბოდის სამფლობელოები დაერბია. თავისი ტრფიალის ამბავი მამას – მეფე არჩილს ასე მოახსენა: „ვევედრები მეფობასა შენსა, მომგუარე ცოლად ჩემდა საგდუხტ ასული ბარზაბოდისი, და შევქმნათ ჩუენ შორის მშვიდობა“. მართალია, დასძინა უფლისწულმა, ქრისტეს ძალით ჩვენ ვიმარჯვებთ, მაგრამ როცა ირანის მეფე მოიცლის, ჩვენზე შურს იძიებს. ჩვენს ქვეყანასა და ეკლესიებს მოაოხრებს. ჯობია დღეიდან დამთავრდეს ჩვენს შორის მტრობა. ამ გზით უფრო შეურყევლად დავიცავთ ქართლის საზღვრებს, უფრო განმტკიცდება ქართლში ქრისტეს სჯული, სპარსთა გაძლიერებისას, „ქრისტეს სჯულის გამობის“ შიში აღარ გვექნება.

მეფე არჩილი კარგად მიხვდა ყოველივე ამას, ახალგაზრდა უფლისწული ქალის სიყვარულის გამო რომ ამბობდა. ამიტომ, შვილის თხოვნას წინააღმდეგობა აღარ გაუწია და „აღასრულა ნება მისი“. წარგზავნა მოციქული ბარდავს – ბარზაბოდის კარზე „და ითხოვა ასული მისი ცოლად მისა თვისისა“.

არჩილ მეფის წინადადება ბარზაბოდმა დიდი სიხარულით მიიღო, თან ქართველთაგან „ითხოვა ფიცი და აღთქმა“ მშვიდობისა, ქართველებმაც დადეს ფიცი. ასე დამყარდა მშვიდობა.

საქმის კეთილად წარმართვით გახარებულმა ბარზაბოდმა „მოსცა ასული თვისი ზითვითა დიდითა“. საგდუხტი „მოიყვანეს მცხეთას – „ქმნეს ქორწილი, შუება და განცხრომა დღეთა მრავალთა“. ქორწილის შემდეგ მეფე არჩილმა მირდატსა და მის მეუღლეს საუფლისწულო მამულად მისცა სამშვილდე\* „საერისთაოთა მისთა და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ“.

ასე შეიქმნა სამშვილდის საერისთავოს ცენტრი – ციხე-ქალაქი სამშვილდე ახალგაზრდა ცოლ-ქმრის რეზიდენციად. დიდად „მორწმუნე და ღმრთის-მსახური“ მირდატის მეუღლე საგდუხტ დედოფალი, ცეცხლთაყვანისმცემელი იყო. ცხადია, მას გაქრისტიანებას მოსთხოვდნენ და „საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი“, მირდატმა „მოჰგუარნა კაცნი სჯულისა მეცნიერნი“ (ე.ი. ქრისტიანული რელიგიის მცოდნენი, ვ.გ.). დედოფალმა, რა თქმა უნდა, არც ქართული იცოდა, ამიტომ „უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“. აუხსნეს – „ჭეშმარიტი ღმერთი“ რომ იესო ქრისტე იყო, „რომელი განკაცნა (ე.ი. ადამიანის სახე მიიღო, ვ.გ.) ხსნისათვის ჩუენისა“.

ყოველივე ამის შემდეგ, საგდუხტ დედოფალმა „გულისხმა ყო“, „იცნა სჯული ჭეშმარიტი, დაუტევა ცეცხლის-მსახურება, ნათელ-ილო და იქმნა მორწმუნე“. მან აღაშენა სიონი სამშვილდისა (ესაა სამშვილდის ძველი ეკლესია. VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ქართლის ერისმთავარმა ვარაზ-ბაკურმა და სხვებმა სამშვილდეში კვლავ ააგეს დიდი ტაძარი, რომელთაგან დღეს ნანგრევებიღაა შემორჩენილი, ვ.გ.).

426 წელს არჩილ მეფე გარდაიცვალა – ქართლის სამეფო ტახტზე ახალგაზრდა მირდატი ავიდა. ამიერიდან მან დედოფალ საგდუხტთან ერთად მცხეთის სამეფო სასახლეში დაიღო ბინა. მირდატი შეუდგა ქვეყნის მართვას.

ზემოთ ვახტანგ გორგასლის დაბადების თარიღად 431 წელი მივიღეთ. იმაზეც მივუთითე, ვახტანგის პაპა მეფე არჩილი რომ 426 წელს გარდაიცვალა და ქართლის ტახტზე მირდატი ავიდა. იგი მეფობდა ისე, „ვითარცა მამა მისი, ღიღსა სარწმუნოებასა შინა“.

ახლა, რაც შეეხება ვახტანგის ოჯახის წევრებს, მეფე მირდატსა და დედოფალ საგდუხტს. მათ პირველად ქალიშვილი შეეძინათ და მას ხუარანძე დაარქვეს. სამეფო კარისათვის, უპირველეს ყოვლისა, ვაჟიშვილის გაჩენა იყო ღიდად სასურველი, ამიტომ „კუალად ევედრებოდეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედოფალი საგდუხტ, რათა მოსცეს ძე. და შემდგომად ოთხი წლისა საგდუხტმა... შვა ძე და უწოდა სახელი... სპარსულად „ვარან-ხუასრო-თანგ“, ხოლო ქართულად უწოდა ვახტანგ.

მემკვიდრის დაბადების გამო „აღივსნეს სიხარულთა მშობელნი მისნი“, „განავლინეს მახარობელი ყოველთა თანა ერისთავთა და გამოიღეს ხუასტაგი (ქონება, საქონელი, ვ.გ.) ღიღძალი, ოქრო და ვეცხლი, და განუყვეს გლახაკთა, და შეწირეს მადლობა ღმერთისა მიმართ, ლოცვითა და ღამის-თევითა, ღღეთა მრავალთა“. მეფემ „ღღეთა მრავალთა ყო პურობა და განცხრომა“.

როგორც გვიანფეოდალურ საქართველოში, მაშინაც, უფლისწულებს ღიღგვაროვანი მამამძუძენი ზრდიდნენ. ჯუანშერი პირდაპირ მიუთითებს: წესი იყო „რომელ შვილნი მეფეთანი, წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან“. ვახტანგის გაზრდა საურმაგ სპასპეტმა „ღიღითა ვედრებითა“ ითხოვა. მეფემაც „მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ“. უფლისწული ქვეყნის მომავალ მმართველად, უძლეველ მებრძოლად, საურმაგ სპასპეტის ხელმძღვანელობით აღიზარდა.

ახლა გავარკვიოთ როდის დაიბადნენ ვახტანგის დები. ვახტანგის დაბადების თარიღი ვიცით. ისიც ვიცით რომ ვახტანგი ხვარანძეს დაბადებიდან ოთხი წლის შემდეგ დაიბადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხვარანძე (431-4) 427 წელს დაბადებულია.

ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის შემდეგი ცნობით, ვახტანგის დაბადებიდან „შემდგომად... მეექუსისა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხუა და უწოდეს სახელი... მირანდუხტ“. ე.ი. ვახტანგის უმცროსი და მირანდუხტი – (431+6) 437 წელს დაბადებულია. მირანდუხტი გასაზრდელად კასპის სპასალარმა წაიყვანა.

მირანდუხტის დაბადებაზე მითითების შემდეგ ვახტანგის „ცხოვრების“ ავტორი – ჯუანშერი გვამცნობს: „შემდგომ, ამისსა, წელსა მეორესა, მოკუდა მეფე მირდატ; და დარჩა ვახტანგ შვიდისა წლისა ყრმა“.

437 წელს მირანდუხტის დაბადებიდან „შემდგომად მეორე წელი“ 438 წელია – ეს ახალი მითითებაა მირდატ მეფის გარდაცვალების შესახებ. ამ დროს ვახტანგი შვიდი წლის იყო და, მართლაც 431 წელს დაბადებული ვახტანგი 438 წელს შვიდი წლისა იქნებოდა. ამ ამბების თხრობისას ჯუანშერი

გვამცნობს: „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი“ – მათ კასპიდან გაიტაცეს ვახტანგის სამი წლის და მირანდუხტი.

438 წელს მეფე მირდატის უდროოდ გარდაცვალების გამო, ქართლის სამეფო მძიმე ვითარებაში ჩავარდა. შვიდი წლის უფლისწული ქვეყნის მართვაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ქვეყანა დედოფალ საგდუხტს უნდა ემართა ქართლის ერისთავების დახმარებით, მაგრამ სინამდვილეში ქართლის მმართველად ითვლებოდა ბარდაში მჯდომი მარზპანი ბარზაბოდი. იგი, მართალია, დედოფალ საგდუხტის მამა იყო, მაგრამ მაინც ირანელი მოხელე იყო. ამასთანავე, დედოფალს კარგად ახსოვდა: ჯერ არჩილ მეფე, შემდეგ კი მისი მეუღლე – მირდატი როგორ არბევდნენ ალბანეთში ბარზაბოდის ქვეშევრდომებს. ამიტომ, იგი შიშობდა ვაითუ „მამამან ჩემმან“ შური იძიოს მამამთილისა და ჩემი ქმრის ნამოქმედარზე, მათ ხომ „ეგოდენნი ბოროტნი მოაწივნეს მის ზედა“-ო. ამასთანავე, იმასაც არ გამოორიცხავდა, რომ რადგან ცეცხლთაყვანისმცემლობა\* უარყო და ქრისტიანობა აღიარა, მასზე შურისძიების გამო „წარწყმიდოს შვილი ჩემი, განრყუნას ქართლი და სჯული ქრისტესი“-ო.

დედოფალი დიდ მწუხარებაში იყო, მაგრამ, ბოლოს მაინც „განიზრახა წარსვლა წინაშე მამისა მისსა და შევრდომა მისი“. თუმცა, მცირეწლოვანი უფლისწულის წაყვანა ვერ გაბედა და ვახტანგი „ცრემლითა სიმწარისათა“ ქართლის სპასპეტსა და ერისთავებს შეავედრა.

ქართლის დედოფალი მხოლოდ მცირე მხლებლებით მიაღვა ქ. ბარდაში მამის რეზიდენციას. მამის წინ მოიყარა მუხლი, მამას ფეხებზე ემთხვია – „დაალტობდა (ე.ი. დაასველებდა, ვ.გ.) ფერხთა მამისა თვისითა ცრემლითა“. დედოფალმა მამისაგან ითხოვა შეწყალება და მიტეგება, ასევე სურდა მამას მისთვისაც შეენდო „სჯულის დატეგება“. დედოფალს ეშინოდა მამას არ აეძულებინა იგი უარყო ქრისტეს სჯული, რადგან იესო ქრისტე მისთვის უკვე იყო „ღმერთი ჭემმარტი“. ამასთანავე მამისადმი უმთავრესი სათხოვარი მაინც ის იყო, რომ მისი ძე – ვახტანგი დაეტოვებინა თავისივე მამულში და თვით გაეწია შუამავლობა ამის შესახებ შაჰის წინაშე.

დედოფლის შემფოთება შემთხვევითი არ იყო, მან კარგად იცოდა მამის ხასიათი. ბარზაბოდი, მართლაც, მზად ყოფილა „ბოროტის ყოფად ქართველთათვის“, თუმცა, საყვარელი ქალიშვილი მაინც დაინდო – „შეიწყალა ასული თვისი: არა აიძულა დატეგება სჯულისა, და აღასრულა ყოველი თხოვა მისი“. მარზპანმა ასულს მხოლოდ ერთი პირობის შესრულება მოსთხოვა: თვითონ არცერთ ქართველს იძულებით არ „დააგდებინებდა“ ქრისტეს სჯულს, სამაგიეროდ ქართლში გააგზავნიდა ცეცხლთაყვანისმცემლებს მათი რჯულის მოძღვრებთან ერთად და თუ რომელიმე ქართველი თავისი ნებით აირჩევდა ირანელთა რელიგიას – ცეცხლთაყვანისმცემლობას, ხელისუფალთ მისთვის ხელი არ უნდა შეეშალათ.

ჯუანშერის სიტყვით, „საგდუხტ ერჩდა (ემორჩილებოდა, ვ. გ.) მამასა თვისსა შიშისაგან დიდისა“, ამიტომ მას უარი ვეღარ შეკადრა. მართლაც, ბარზაბოდის მიერ გამოგზავნილი ცეცხლის მსახურნი მცხეთაში „დასხდეს მოგუთას\*\*“.

ქ. ბარდადან საგდუხტ დედოფლის გამომგზავრების შემდეგ, აღარც ბარზაბოდს უცოცხლია დიდხანს. იგი გარდაიცვალა და ირანის შაჰმა მარზპანად ბარზაბოდის ძე – ვარაზ-ბაკური დასვა. იმავე ხანში ქართლში გარდაიცვალა ვახტანგის მამამძუძე საურმაგ სპასპეტი. ქართლის სპასპეტად დედოფალმა ჯუანშერი დანიშნა. საქვეყნო საქმეებით დაკავებულმა დედოფალმა საგდუხტმა ცეცხლთაყვანისმცემელთა შეტევის შეჩერება ვერ შეძლო. განსაკუთრებით ცეცხლთაყვანისმცემელთა „ეპისკოპოსი“ ბინქარანი აქტიურობდა. მის ქმედებას ქართლის წარჩინებულნი წინააღმდეგობას არ უწევდნენ. ამის გამო „წურილი ერი“ (ე.ი. მოსახლეობის დაბალი ფენები) მიიქცა მრავალი ცეცხლისმსახურებას... შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლმსახურება“, „ამისთვის მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი“, მაგრამ „მძლავრობისაგან სპარსთა ვერას იკადრებდა“, თუმცა იმდენი მაინც შეძლო, რომ ბიზანტიიდან მოიყვანა „მღვდელი ჭემმარიტი“ მიქაელი და ქართლის ეკლესიის მეთაურად დაადგინა.

დედოფლის მიერ გადაღებულმა ნაბიჯმა გაამართლა. მიქაელ ეპისკოპოსი მედგრად აღუდგა წინ ცეცხლთაყვანისმცემელთა ძალადობას – „ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭემმარიტსა“. ის-ის იყო ქვეყანაში რელიგიური ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა, რომ ქართლის მოსახლეობამ ჩრდილო კავკასიიდან დიდი თავდასხმა განიცადა.

როცა ვახტანგი 10 წლისა გახდა (ე.ი. დაახლოებით 441 წელს), ჩრდილო კავკასიიდან დარიალის გზით „გადმოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი“ და მოაოხრეს ქვეყანა მტკვრის სათავეებიდან ხუნანამდე (ეს ციხე-ქალაქი საერისთავოს ცენტრი იყო და სამეფოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა). მომხდურებმა კასპის გარდა ციხე-ქალაქები ვერ აიღეს. კასპიდან კი ვახტანგის და მირანდუხტი გაიტაცეს.

ქართლში ჩრდილოელთა ლაშქრობის თანადროულად, ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოში (ეგრისის სამეფოში) შეიჭრნენ და დაიპყრეს ტერიტორია „ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე“. ეს ორი ლაშქრობა, რა თქმა უნდა, ერთი დიდი სამხედრო ოპერაციის შემადგენელი ნაწილები იყო. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა VI ს-ის ბიზანტიელი ავტორის კომიტ მარცელინუსის „ქრონიკაში“ არსებული ცნობა 441 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის ზავის დადების შესახებ. ზავის დადების წინ – 438 წელს ირანის ტახტზე იეზდიგერდ II-ის ასვლის შემდეგ ბიზანტიასა და ირანს შორის ურთიერთობა დაიძაბა. 440 წელს კი ირანის არმია ბიზანტიის საზღვრებს მიაღწა. ასეთ ვითარებაში, როგორც ჩანს, ბიზანტიამ სასწრაფოდ მიიღო ზომები. იმპერიამ, არმიის მაგისტროსების (მხედართმთავრების) – ანატოლისა და ასპარის სარდლობით აღმოსავლეთში ლაშქარი გამოაგზავნა, ხოლო ამიერკავკასიის ირანულ სამფლობელოებში ჩრდილო კავკასიიდან ჰუნებისა და ოსების შემოჭრით ირანს საქმე გაურთულა. ოსებისა და ჰუნების გასადევნად, ქართლში ირანის ლაშქარი შემოვიდა. ამით უნდა აიხსნას, ჩრდილო კავკასიიდან შემოსულებმა კასპის გარდა, ვერც ერთი ციხე რომ ვერ აიღეს, თუმცა დიდი ნაღავლი ივდეს ხელთ და დარუბანდის გზით უკან გაბრუნდნენ.

441 წლისათვის, აღმოსავლეთ ევროპაში ჰუნები უკვე კარგა ხნის მოსულები იყვნენ. მათ ჩრდილო კავკასიის ველებიც ეკავათ. ძველი ქართველი ავტორი ქართლში შემოჭრილ ხალხს, მართალია, ოსებს უწოდებს, მაგრამ შემოსეულთა ძირითადი ნაწილი, ცნობილი ჰუნთა ბელადის ატილას დაქვემდებარებაში მყოფი და მისი სამფლობელოს აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრებული ჰუნები უნდა ყოფილიყვნენ.

ამიერკავკასიაში ატილას ქვეშევრდომი ჰუნების ლაშქრობის ამბავი, ბიზანტიელმა დიპლომატმა და ისტორიკოსმა პრისკოს პანიელმა 448 წელს ატილას ბანაკში ყოფნისას შეიტყო. მას უთხრეს, რომ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებიდან წამოსული ჰუნები 15 დღეში ამიერკავკასიაში შეიჭრნენო. ასეთი სწრაფი ტემპით ამიერკავკასიაში გამოლაშქრება ჰუნებს, რა თქმა უნდა, ბიზანტიის ხელისუფალთა მოთხოვნით, სათანადო საზღაურის საფასურად უნდა მოეწყოთ. შავი ზღვის ჩრდილო ველზე მომთაბარე ჰუნებისათვის, როგორც კავკასიის ზეკარები, ისე ამიერკავკასიის გზები უცნობი იქნებოდა. ამ მხრივ, მათთვის გზის მაჩვენებლები ოსები იქნებოდნენ. მირანდუხტის ადგილსამყოფელიც მათვე უნდა სცოდნოდათ.

დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა მიერ „ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე“ ტერიტორიის დაპყრობამ, ხოლო აღმოსავლეთში ოსების წინამძღოლობით ჰუნთა გამანადგურებელმა ლაშქრობამ „ყოველთა ზედა ქართველთა“ დიდი „გლოვა და წუხილი“ გამოიწვია. დატრიალებულ უბედურებას „ღმრთისა მიმართ“ ცოდვების გამრავლებით ხსნიდნენ. ქართლის სამეფოს ყველა მესვეური ერთი აზრისა იყო: პირველ რიგში ოსებზე უნდა ეძიათ შური, შემდეგ ეზრუნათ ბიზანტიელებისაგან წართმეული ტერიტორიების დაბრუნებაზე.

გადიოდა წლები, „ვანტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა“, იწრთობოდა სამხედრო საქმეში. ახალგაზრდა უფლისწული დიდად წუხდა ქართლის მოსახლეობის დაბალ ფენებში ცეცხლთაყვანისმცემლობა რომ მძლავრობდა, მაგრამ „სპარსთა მძლავრობის“ გამო ვერაფერს ამბობდა. ამასობაში ვანტანგი თხუთმეტი წლისა გახდა.

446 წელს 15 წლის მეფემ პირველად მოიწვია დარბაზი, რომელიც მცირე სახალხო კრება უფრო იყო. ესაა ერთ-ერთი უძველესი მონათხრობი, რომელშიც V ს-ის შუახანებში ქართლის სამეფო სახლში გამართული დარბაზობის მიმდინარეობაა გადმოცემული.

მეფემ „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად“. სადარბაზოდ გაამზადა ერთი სახლი, დაჯდა „საყდართა ზედა მაღალთა“, გვერდით – „საყდარსავე“ დასხდნენ ჯუანშერ სპასპეტი და ორივე ეპისკოპოსი (ე.ი. ქრისტეანთა და ცეცხლთაყვანისმცემელთა). „სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა“ (ე.ი. სელის ბალიშებზე), ათასის-თავნი, ასის-თავნი და ყოველი ერი ფეხზე იდგა.

თხუთმეტი წლის მეფემ, თავისი ასაკის შეუფერებლად „ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა“ მაღალი ხმით განაცხადა: მეფისა და ერის

(ხალხის) წინაშე მაშინ მოაწევს განსაცდელი, როცა მორწმუნენი ღმერთს მსახურებას აკლებენ და მამა-პაპათა სარწმუნოებისაგან გადაუხვევენ. ასეთ ვითარებაში ხალხი ჩავარდება ისეთ განსაცდელში, როგორშიც ჩვენ ვართ. როცა კეთილი მამა (მშობელი) ზრდის შვილს კეთილი საქმეებისთვის, შვილი უნდა კეთილ გზაზე დააყენოს, მაგრამ შვილმა თუ კეთილად არ შეისმინა მშობლის მითითება, მაშინ მშობელი იტანჯება. ასევე „გუწურთნა ჩვენ ღმერთმან“, – დასძინა მეფემ.

ამის შემდეგ, მეფემ დიდებულებს მიმართა: მართალია, მე ყრმა ვარ და ჩემგან კეთილი საქმეები არ გინახავთ, მაგრამ გინახავთ წინაპართა დიდი თავდადება. დღეს, როგორც მე, ისე თქვენ დიდი განსაცდელის წინაშე ვართ. უნდა „ვიძიოთ შური ოვსთა ზედა“. ეს უბედურება რომ სპარსელების ან ბერძნებისაგან მოდიოდეს კიდევ მოვითმენდით, მაგრამ უბედურება „მოწვენილ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან“ (დამამცირებელი ტერმინია, ვ. გ.), ამიტომ „არა ხამს ღათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათვის“.

მეფის შემდეგ ჯუანშერ სპასპეტი წამოღვა ფეხზე და მეფეს მიმართა: „ცხოვნილი მეფეო უკუნისამდე დიდებით და მტერთა შენთა ზედა ნება-აღსრულებით მეფეო შენ უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ ხარ, „მსგავსი ნებროთ\* გმირისა“, ღმერთმა გამოგაჩინა ჩვენ წინამძღვრად, ჩვენ ძველ და ახალ ჭირთა (უბედურებათა) განსაქარვებლად. ამ ხუთი წლის განმავლობაში, შენი ყრმობისას დიდ მწუხარებაში ვიყავით ოვსთაგან მიყენებული შეურაცხყოფის გამო. აქამდე თუ არ შეგეძლო მხედრობას წინ წაძლოლოდი და არც სამეფოს საქმეებს განაგებდი, ამჯერად „სრულ ხარ სიბრძნითა და ძალითა, სიმზნითა და ასაკითა“, თუმცა, ჯერ კიდევ არაა უამი თავი საფრთხეში ჩაიგდო. ჩვენი სურვილია რომელიმე ჩვენგანი შეარჩიო „სპათა წინამძღვრად“, შენ კი აქ დარჩი ქვეყნის მეთაურად, რომ დამარცხების შემთხვევაში ქვეყანას შენ მიხედო.

ჯუანშერ სპასპეტის ამ სიტყვებს ერთხმად დაეთანხმნენ ქართლის წარჩინებულნი და ერისთავები. მაგრამ მეფე ღათმობას არ აპირებდა. მეფემ საპასუხოდ მიუგო: „ყოველნი დღენი ცხორებისა ჩემისანი მწუხარებასა შინა დამიყოფია“, ჩემი დის სიბრალულით გული მეღევა, თითქოს ცეცხლის მახვილით ვიყო დაკოდელი. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩვენია – ღმერთის მინდობითა და ჯვრის წინამძღოლობით წამოვალ – არ გამწირავს ღმერთი და მომცემს ძალას.

მას შემდეგ, რაც დარბაზობაზე ერთხმად გადაწყდა ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობა, მოდარბაზენი სახლებში გაბრუნდნენ, რათა ლაშქრობისათვის მომზადებულიყვნენ.

ზემოთ ითქვა, რომ იმ ხანაში ქართლი და ალბანეთი ბარდაში მჯდომ მარზპანს ექვემდებარებოდა. ასეთი დიდი ლაშქრობის მოსაწყობად აუცილებელი იყო მარზპანის ვარაზ-ბაკურის თანხმობა. და ვახტანგმაც „წარავლინა მოციქული“ და „აუწყა ლაშქრობა ოვსეთისა და ითხოვა მისგან შეწევნა“. მარზპანი ვალდებული იყო ასეთ ლაშქრობაში თავისი სამხედრო ძალებით მიეღო მონაწილეობა. ვარაზ-ბაკურმა ვახტანგს 12 000 მხედარი გამოუგზავნა.

თვით მეფემ კი „მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა“, სულ ცოტა ხანში ქართლის საერისთავოთა ლაშქარი „შეიკრიბა“ და „დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა“. მემატიანეს ცნობით, იმ ხანად ქართლიდან ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქვეითი შეგროვდა. ვარაზ-ბაკურის მიერ გამოგზავნილ მხედრობასთან ერთად 172 ათასი მეომარი შეიკრიბა. როცა მეფემ ლაშქარი დაათვალიერა, „მოეწონა სიმრავლე, ცხენკეთილობა და მოკაზმულობა“, რაც მთავარია, ყოველი მეომარი იყო მხნედ, „სავსენი იყვნეს შურიტა ოვსთათა“, უხაროდათ, ბოლოს და ბოლოს რომ დადგა დრო, როცა მტერს სამაგიეროს გადაუხდიდნენ.

მოლაშქრეთა საბრძოლველად ასეთი მზადყოფნის გამო, მეფემაც გაიხარა, „მადლობა შესწირა ღმერთს“ მოლაშქრეთა შემართებისათვის. ამის შემდეგ, მეფე მცხეთაში დაბრუნდა და „აღასრულა შვიდეული ერთი\* ლოცვითა და მარხვითა, ღამის თევითა“. შემდეგ გლახაკთ დიდძალი საბოძვარი დაურიგა. სამეფოს გამგებლობა კი დედას და უფროს დას – ხუარანძეს დაავალა.

ღარბაზობაზე, ჯუანშერ სპასპეტი მეფეს იმიტომ ურჩევდა ლაშქრობაში არ წასულიყო, რომ მისი დაღუპვის შემთხვევაში, ქვეყანა მეფის გარეშე რჩებოდა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგად უწყოდა ვახტანგ მეფემ. ამიტომ, როდესაც სამეფოს მართვა-გამგებლობა დედასა და დას დაავალა, საიდუმლო ანდერძიც დაწერა და დედას გადასცა. ამ ანდერძის შესახებ სხვას არაფერი არ უნდა სცოდნოდა. ანდერძში ვახტანგი წერდა: „უკუეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაი ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან... მან იპყრას მეფობა“.

ანდერძში დასახელებული მირიანი, ჯუანშერის განმარტებით, ვახტანგის მამის ძმისწული იყო. აი, ეს მირიანი დატოვა მცხეთაში, ლაშქრობაში არ წაიყვანა და თუ ვახტანგი ვერ დაბრუნდებოდა, მას უნდა დაეკავებინა ქართლის ტახტი.

ვახტანგის მამას – მეფე მირდატს ძმა არ ჰყავდა. ჯუანშერი კი ვახტანგის თანამედროვე მირიანს, ვახტანგის „მამის ძმისწულად“ იხსენიებს. უნდა განვმარტო, რომ იგულისხმება შორეული ძმისწულობა ანუ მეფეთა გვერდითი შტო.

ახლა ისევ ოსების წინააღმდეგ ლაშქრობის ამბავს დავუბრუნდეთ. სამეფო საქმეების მოგვარების შემდეგ, ვახტანგი თიანეთს დადგა. იქ შეუერთდნენ მას „ყოველნი მეფენი კავკასიისანი“ ორმოცდაათი ათასი მხედრით და დარიალის გავლით შევიდნენ ოსთა მიწაზე. ჯუანშერის სიტყვით, „შესლვასა მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექუსმეტისა“ – ე. ი. 447 წელი იდგა.

ვახტანგის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის შესახებ ოსებს, რა თქმა უნდა, წინდაწინ ეცოდინებოდათ და ვახტანგის ლაშქარს მდინარის პირას მომზადებულნი დახვდნენ (მათ, როგორც ჩანს, ჰუნები დაიხმარეს). მდინარის მეორე ნაპირზე ვახტანგ მეფის ლაშქარი დადგა (ლაშქარი მდ. თერგის ნაპირზე განლაგდა). მდინარის ორივე ნაპირზე „იყვნეს ქარაფნი კლდისანი“, ასევე „ჭალაკნი და ველოვანნი“. შვიდი დღე ემზადებოდა ორივე ლაშქარი გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მანამდე კი ყოველდღე ბუმბერაზთა ბრძოლები იმართებოდა.



ოსთა მიერ ჰუნებისაგან დაქირავებულ ლაშქარში იყო „კაცი ერთი გოლიათი“ სახელად თარხანი. პირველად ბრძოლის ველზე სწორედ ის გამოვიდა და ხმამაღლა განაცხადა: მეფის ლაშქარში ვინც უძლიერესად თვლიდა თავს, მის წინააღმდეგ საბრძოლველად გასულიყო.

თარხანის მოწოდებაზე, იმ ლაშქრიდან, რომელიც ვახტანგ მეფეს ბიძამ ქართლ-ალბანეთის მარზპანმა გამოუგზავნა, გამოვიდა ერთი მეომარი – ფარსმან-ფარუხი. მისი მოწინააღმდეგე ბრძოლაში არავინ იყო, მას მრავალჯერ ლომიც კი ჰყავდა ხელით შეპყრობილიო, – წერს ჯუანშერი. აი, ეს გოლიათი გავიდა თარხანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ყვირილით „მიეტევნეს ურთიერთს“, მაგრამ პირველივე შეტაკებისას თარხანმა დაასწრო – „უხეთქა ხმალი ფარსმან-ფარუხსა ჩაბალახსა ზედა, და განუპო თავი ვიდრე ბეჭთამდე“.

ამ შეტაკების მხილველი ვახტანგ მეფე და მისი ლაშქარი შეწუხდა, რადგან მის ლაშქარში არავინ დარჩა მსგავსი ფარსმან-ფარუხისა.

გაილია ის დღე. ვახტანგი შევიდა თავის კარავში „დადგა ლოცვად და ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა“. გათენებამდე ილოცა – „ითხოვდა ღმერთისგან შეწვენას“.

გათენდა თუ არა, თარხანი კვლავ მოადგა მდინარის ნაპირს და მოითხოვა კიდევ გასულიყო ვინმე ვახტანგის ლაშქრიდან მასთან შესაბამელად.

მეფემ განაცხადა, რომ თვით გავიღოდა „ბრძოლად თარხანისა“. მეო, – აღნიშნა მეფემ, – მოიმედე ვარ არა მხოლოდ ჩემი ძალისა და ჩემი სიმხნისა, „მინდობითა ღმერთისათა“ გავიმარჯვებო. მეფის გადაწყვეტილებამ წარჩინებულები გააკვირვა, მრავალჯერ სთხოვეს უარი ეთქვა ორთაბრძოლაზე, რადგან ყრმა იყო და არ ჰქონდა სათანადო საბრძოლო გამოცდილება. მაგრამ როგორც ჩანს, მან კარგად შეისწავლა ბრძოლის ხელოვნება თავისი მამამძუძის საურმაგ სპასპეტისაგან. საბრძოლველად გასვლის წინ იგი გადმოვიდა ცხენიდან „თაყუანის-ცა ღმერთსა“, რათა მისი შემწე ყოფილიყო. ვახტანგის დანახვაზე თარხანმა დაიძახა: „მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, და არა ყმაწუილთა“-ო. ამ სიტყვებთან ერთად მოქიშპეები „მიეტევნეს ურთიერთს“. ახალგაზრდა ვახტანგი, რა თქმა უნდა, თარხანზე სწრაფი იყო, ამიტომ პირველსავე შერკინებისას მან სცა შუბი „სარტყელსა ზედა“ თარხანს. საჭურველმა ვერ გაუძლო დარტყმას და შუბი ზურგამდე ჩაესო – თარხანი უსულოდ დაეცა მიწაზე.

ქართველთა ლაშქარი ხმამაღლა ზეიმობდა ახალგაზრდა მეფის პირველ გმირულ გამარჯვებას – უძლეველი თარხანის დამარცხებას. თვით მეფე კვლავ გადმოხტა ცხენიდან და „თაყუანის-ცა ღმერთსა“, შემდეგ თარხანს თავი მოკვეთა, შეჯდა თავის ბედაურზე და ქართველთა ლაშქარს მიეახლა. ყოველი მოლაშქრე მაღალი ხმით ქებას ასხამდა მეფეს და ასევე ღმერთს სწირავდა მადლობას.

ორთაბრძოლები თარხანის სიკვდილით არ დამთავრებულა. მეორე დღეს „გამოვიდა ბუმბერაზი ოვსთაგან, რომელსა ერქვა ბაყათარ“. ამ ბაყათარსო, – წერს ჯუანშერი, წინააღმდეგობას ვერავინ უწევდაო. და აი, ეს ბაყათარი მოადგა დილით მდინარეს და ხმამაღლა დაიწყო ყვირილი: ვახტანგ მეფე ნუ

გალაღდები თარხანზე გამარჯვებით. არ იყო ის გოლიათთა სადარი, ამიტომ მოიკლა ყმაწვილის მიერ. ახლა მე შემებრძოლე, ჩემს ფიცხელ შეტევას ვერ გადაურჩები. თუ გინდა შენი ლაშქრიდან სხვა გამოვიდეს, ამისთვისაც მზად ვარო.

მეფემ ბაყათარს შესძახა: მე თარხანს არამარტო ჩემი ძალითა ვძლიე, „არამედ ძალითა დამბადებლისა ჩემისათა“ – მე შენი არ მეშინია, როგორც ერთი ძაღლისა. ამ სიტყვების შემდეგ მეფემ თავისი ლაშქარი საბრძოლველად გაამზადა. თვითონ კი „აღჯდა ტაიჭსა (ცხენს, ვ. გ.) შეჭურვილსა ჯავშნითა“, „ალილო ფარი მისი ვიგრის\* ტყავისა, რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილი“, მიადგა მდინარეს და ბაყათარს შესძახა: მე მეფე ვარ, არ გადმოვალ მდინარეზე, არ მივეახლები ოსთა სპას. შენ კი მონა ხარ, გადმოდი მდინარის აქეთ.

ბაყათარი დათანხმდა და თან მეფეს სთხოვა, ნაპირიდან უკან დაეხია სამი უტევანი (ერთი უტევანი 125 ნაბიჯია). ვახტანგი უკუდგა, ბაყათარი გადმოვიდა მდინარის მეორე ნაპირზე და დაიწყო ისრების სროლა. ვახტანგი ირიდებდა ისრებს, მდინარის ორივე ნაპირზე მდგარ ლაშქარში იყო „ცემა ბუკისა და დაბდაბთა“. ისეთი ხმაური იდგა, რომ „იდრვოდეს მთანი და ბორცუნი“. ბაყათარის ნასროლი ისრებისგან მხოლოდ ორი მოხვდა ვახტანგის ფარს. ბაყათარის ისრებმა ფარში ვერ გააღწიეს, სამაგიეროდ მისი ნასროლი ერთი ისარი ვახტანგის ცხენს მოხვდა. ამასობაში ვახტანგი მიიჭრა ბაყათართან და ვიდრე ცხენი დაეცემოდა, „უხეთქნა ხრმალნი მხარსა ბაყათარისსა და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე“.

ამის შემდეგ, ქვეითები და ცხენოსნები ოსთა წინააღმდეგ დაიძრნენ.

ცხენ-თოროსნებმა აიარეს თუ არა ქარაფის გზა და ვაკეზე ავიდნენ, მათ მიჰყვნენ ქვეითნი, მხედრები და იქ გაძლიერდა ბრძოლა. პირველ რიგებში იბრძოდა ვახტანგ მეფე. ჯუანშერის სიტყვით, მეფე „მარჯუენით-კერძი“ (მხარეს, ვ.გ.) თუ „მარცხენით-კერძი“ იბრძოდა, მოწინააღმდეგენი ყველგან შიშით ძრწოდნენ. მეფის ლომისებრ ხმას ყველა ცნობდა. მეფის გვერდით მხნედ იბრძოდა ორი გამორჩეული მხედარი: „არტავაზ ძუძუმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა და ბივრიტიან სეფეწული\*“.

ოსთა ლაშქარმა ველარ გაუძლო ქართველთა შეტევას – „იძლივნეს ოსნი და ივლტოდა (გაიქცა, ვ.გ.) ბანაკი მათი“. გაქცეული ოსები ქართველებმა მრავლად დაატყვევეს, რათა ქართლიდან წაყვანილ ტყვეებში გაეცვალათ. დევნიდან უკანმობრუნებულმა ქართველმა მოლაშქრეებმა ისევ მდინარის პირას დაიბანაკეს. სამი დღე დაისვენეს. შემდეგ შევიდნენ ოსეთის ტერიტორიაზე და შემუსრეს ციხე-ქალაქნი, მრავალი ტყვე და ურიცხვი ალაფი ივდეს ხელთ.

ოსთა დამორჩილების შემდეგ, ვახტანგის ლაშქარი ჯიქეთში შევიდა და კვლავ ოსეთში დაბრუნდა. ვახტანგის დესპანებმა კავკასიის მთებში თავშეფარებული ოსთა ბელადები მოიხმეს და დაზავდნენ. ამის შემდეგ ვახტანგის უმცროსი და – მირანდუნტი გამოიხსნეს. ვახტანგ მეფე უამრავი ტყვითა და ალაფით მობრუნდა ოსეთიდან. ეს ლაშქრობა 4 თვეს გაგრძელდა.

ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყოფნისას, მეფემ ლაშქრობიდან გაათავისუფლა ის თორმეტი ათასი მხედარი, რომელიც მას ვარზ-ბაკურმა

დაახმარა. „ნიჭითა დიდითა“ (დიდი საბოძვრებით) გაათავისუფლა „მეფენი კავკასიანთანი“. თავისი დაი, მრავალი ტყვე დარიალის გზით ქართლში გამოისტუმრა, თვით კი ქართველთა ლაშქრით „გზასა აფხაზეთისასა“ დაადგა.

447 წელს ჩრდილო კავკასიიდან ქართველთა ლაშქრით ვახტანგ მეფე დასავლეთ საქართველოში გადავიდა და სამი წლის მანძილზე აფხაზეთის ყველა ციხე აიღო „ვიდრე ციხე-გოჯამდე“\*. 450 წელისთვის გამარჯვებული ვახტანგი მცხეთაში დაბრუნდა. გამარჯვებულ მეფეს დიდი სიხარულით მიეგებნენ დედა და დები, „სიმრავლე ქალაქისა“ ქალი და კაცი თავის სამოსს უფენდა მეფეს, ხმამაღლა შესძახოდნენ მეფეს სადიდებელ სიტყვებს, რადგან მანამდე, ასეთი გამარჯვება არც ერთ მეფეს არ მოეპოვებინა.

მეფემ მადლობა შესწირა ღმერთს, გლახაკთ საბოძვარი დაურიგა, უბრალო მეომრები და წარჩინებული მხედრები, რომლებმაც ოსეთში ლაშქრობისას თავი გამოიჩინეს, დიდი საბოძვრით დააჯილდოვა. სათანადო ძღვენი გაუგზავნა ქართლ-ალბანეთის მარზპანს – ვარაზ-ბაკურსა და ირანის შაჰს. შაჰთან ბინქარან „ეპისკოპოსი“ წარავლინა და „ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად“.

იმ ხანად ირანის ტახტზე იეზდიგერდ II იჯდა. ვახტანგ მეფის პირველი მეუღლე – ბალენდუხტი მისი ასული იყო თუ არა, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ბალენდუხტისაგან შეეძინა მეფეს ქალ-ვაჟი – დაჩი და მისი ტყუპისცალი და, თვით ბალენდუხტი კი დაახლოვებით 455 წელს მშობიარობისას გარდაიცვალა.

რაც შეეხება ვახტანგის დასავლეთ საქართველოში ლაშქრობას, იმ ხანად ზღვისპირა ტერიტორია ბიზანტიის გავლენაში იყო. ეს ტერიტორია მათ, ვახტანგ მეფის მცირეწლოვნობისას მიიტაცეს. ამჯერად ვახტანგის ლაშქრობის შედეგად, ეს მხარე ეგრისის სამეფოს დაუბრუნდა. როგორც ვარაუდობენ, ვახტანგის მოქმედება დასავლეთ საქართველოში ირან-ბიზანტიის ომის ერთ ეპიზოდად უნდა იქნას მიჩნეული. V ს-ის 50-60-იან წლებში ეგრისის სამეფო ირანის გავლენაში მყოფი ქვეყანა იყო.

ირანის შაჰმა ბალენდუხტ დედოფალს მზითვად „სომხითი\* და ყოველნი მეფენი კავკასიანნი“ მისცა. შაჰი ვახტანგ მეფისადმი გამოგზავნილ წერილში, მას ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას სთხოვდა.

გარდა იმისა, რომ ვახტანგი ირანის შაჰის სიძე იყო, იმ ხანად ქართლის სამეფო, როგორც ითქვა, ირანის გავლენაში მყოფ ქვეყნად ითვლებოდა, ამიტომ ვახტანგ მეფემ შაჰის მოთხოვნაზე უარი ვერ თქვა. ლაშქრობას ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ სერიოზული მომზადება და დიდი ძალები სჭირდებოდა. ლაშქრობაში, ფაქტობრივად ირანის ჩრდილო ნაწილში შემავალი ქვეყნები მონაწილეობდნენ. ლაშქრობის საერთო ხელმძღვანელად ქართლ-ალბანეთის მარზპანი ვარაზ-ბაკური დაინიშნა.

ამ ლაშქრობის შედეგად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვახტანგ მეფემ ბიზანტიელთა მიერ მიტაცებული ტერიტორიები დაიბრუნა.

ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი ამ ლაშქრობის შესახებ ყველაზე ვრცელი თხრობა ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ გვაქვს. თუ

მივიჩნევთ, რომ ჯუანშერი მის მიერ აღწერილი ლაშქრობის მონაწილე და თვითმხილველი იყო, ჯუანშერის ცნობები ბიზანტიის ისტორიისთვისაც უნიკალურად უნდა ჩაითვალოს (V-VI სს. ბიზანტიელ ავტორებს ამ ომის შესახებ, არაპირდაპირი ცნობები აქვთ).

ლაშქრის მიერ განვილილ გზას, ჯუანშერი ორ ეტაპად წარმოგვიდგენს: 1. გზა მცხეთიდან ბიზანტიის სასაზღვრო ციხე-ქალაქ კარნუ ქალაქამდე\* (იგივე თეოდოსიოპოლი); 2. საომარი მოქმედებები თვით იმპერიის ტერიტორიაზე.

ამ ლაშქრობის დაწყებისას ვახტანგი 22 წლისა იყო. ე. ი. 453 წელს „წარემართა ვახტანგ შესლვად საბერძნეთად და მიიწვივნეს სომხითს და შევიდნენ პეროჟა-კაფას\*“. აქ მოხდა ლაშქრის თავმოყრა. აქედან გაემართნენ კარნუ-ქალაქისაკენ.

ქართლიდან ბიზანტიის შუაგულისაკენ მიმავალმა ლაშქარმა აღმოსავლეთით რომ დაიწყო მოძრაობა, ეს ერთი მხრივ იმით იყო გამართლებული, რომ აქ გადიოდა უძველესი „გზა რანისა“ (გზა ადარბადაგანისა – აქემენიანთა\* ხანის ყოფილი „სამეფო გზის“ ჩრდილო განშტოება), მეორე მხრივ კი იმით, რომ ალბანეთში იყო თავმოყრილი ირანის ჩრდილო ნაწილის ძირითადი ძალები.

იმ დროს თვით კარნუ-ქალაქი კარგად გამაგრებული სამგალავნიანი ციხესიმაგრე იყო (თეოდოსიოპოლი 450 წელს გარდაცვლილ იმპერატორ თეოდოსიოს II-ის პატივისაცემად ეწოდა). მოლაშქრეებმა ეს ქალაქი ვერ აიღეს. მოცდაც არ შეიძლებოდა, ამიტომ ქალაქის მოალყედ ორი ერისთავი დატოვეს 12 000 მხედარით, დანარჩენი ლაშქრით იმპერიის შუაგულისაკენ გაემართნენ. ლაშქარმა გზად აიღო და მოაოხრა ქალაქები: ანძორეთი, ეკლეცი, სტერი. მცირე აზიის შიდა რაიონებიდან ლაშქარი გავიდა ზღვისპირას და მიაღწა „პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა“.

მკვლევრებს ამ ბოლო ხანამდე, „პონტო ქალაქად“ ქ. ტრაპიზონი მიაჩნდათ. მაგრამ, როგორც გაირკვა, „პონტო ქალაქი“ ქ. სინოპია\*, რომელიც ძველი პონტოს სამეფოს დედაქალაქი იყო.

ამ ქალაქს ალყა შემოარტყეს და სამი თვე იბრძოდნენ მის ასაღებად. სამი თვის განმავლობაში მარბიელი ლაშქარი უფრო დაშორებულ ადგილებშიც გავიდა. ლაშქარში მყოფი ირანელები სადაც „ჰპოვებდეს ეკლესიისა მსახურთა, დაჰკლავდის“. ვახტანგ მეფემ ირანელთა ასეთი მოქმედება არ მოიწონა. მან ირანელები და სომხებიც გააფრთხილა ღვთისმსახურები არ მოეკლათ, რადგან „ჩუენც ვართ სჯულსა ზედა ბერძენთასა, აღმსარებელ ქრისტესა“, ქრისტიანისაგან ქრისტიანის მოკვლა დიდ ცოდვად ითვლებოდა, ასწავლიდა მათ მეფე.

ქ. სინოპთან უცხო ქვეყნების ლაშქრის ყოფნას ბიზანტიის ხელისუფლება ცხადია, დიდხანს ვერ მოითმენდა. საიმპერატორო ხელისუფლებამ სათანადო ზომებიც მიიღო. ვახტანგ მეფეს მოახსენეს, რომ მათ წინააღმდეგ „პონტოს გზით“ (ე.ი. ზღვის პირზე გამოვლით) დიდი ლაშქარი მოემართებოდა. ზღვაზე კი 500 ხომალდი მოცურავდა. მეფემ სასწრაფოდ გაანალიზა შექმნილი ვითარება და ვარაზ-ბაკურთან შეთანხმებით, გადაწყვიტა ალყა მოეხსნათ და აღმოსავლეთით დაეხიათ.

ქ. სინოპის მდებარეობის გათვალისწინებით, ლაშქრის იქ დატოვება, მართლაც, საშიში იყო. ზღვით მოსული ბიზანტიელთა ლაშქარი თუ მათ აღმოსავლეთით, ზღვისპირზე გადმოსნდებოდა, ხოლო ხმელეთით მომავალი ლაშქარი დასავლეთიდან სინოპს მოადგებოდა, ვარაზ-ბაკურის ლაშქარი, სწორედ ხაფანგში მოემწყვდეოდა.

საქმე ისაა, რომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ, სამხრეთ კავკასიის მთებიდან თრაკიის ბოსფორის სანაპირომდე გადაჭიმულია ფართო და ძნელად გასასვლელი მთაგრებილი, რომელიც განსაკუთრებით მაღალია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ზღვის სანაპიროს მცირე აზიის შიდა რაიონებთან, – კერძოდ ქ. ამასიასთან მხოლოდ ქ. ამისოსზე (ახლანდ. ქ. სამსუნი) გამავალი გზა აკავშირებს, რომელიც ერთადერთი ღია კარი იყო დიდი ლაშქრის გადასადგილებლად. ეს, ჩანს, კარგად იცოდა ქართველთა მეფემ. თუ ზღვით მოსული ბიზანტიელთა ლაშქარი ამ გასასვლელს დაიკავებდა, სინოპთან მდგომი ვარაზ-ბაკურის ლაშქარი დასავლეთისაკენ ქვეყნის სიღრმეში ვეღარ შევიდოდა. სამხრეთით გაუვალი მთები იყო, ხოლო ჩრდილოეთით ზღვა. ამიტომ „აღიყარა ლაშქარი გარემოს ქალაქისა, და ვლეს ხუთისა დღისა სავალი სამხრით კერძო, და დადგეს სპერით კერძო“.

ქ. სინოპიდან უკანდახვევის შემდეგ ბრძოლა ბიზანტიელებთან რადგან მაინც ზღვისპირას მოხდა, ჩანს ლაშქარმა სწორედ ზემოხსენებულ გასასვლელისაკენ დაიხია.

მას შემდეგ, რაც ქ. სინოპს ალყა მოხსნეს, ვახტანგ მეფემ ბრძანა ტყვეები გაეთავისუფლებინათ. მეფემ ასევე „განავლინა ქადაგი“, რათა ხალხი სამალაგებიდან გამოსულიყო და „გამოვიდა სიმრავლე მღვდელთა და დიაკონთა, მოწესეთა მონაზონთა და ენკრატისტთა (ე. ი. მონაზონი ქალები, ვ.გ.), ქვაბებით და მთათაგან“. მათ შორის იყო „პეტრე მღვდელი... და სამოელ მონაზონი“ (იმ ხანად პეტრე, გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავზე აშენებული ეკლესიის მღვდელი იყო). ისინი წარსდგნენ ვახტანგ მეფის წინაშე და მადლობა მოახსენეს ტყვეების გათავისუფლებისათვის. მეფემ იმ ტყვეებს, რომელთაც სიარული არ შეეძლოთ, „მისცა სახედრები, ხოლო ჭაბუკთა სამ-სამი დრაჰკანი“ და განუტევა“.

მეფის ასეთი დამოკიდებულება პონტოს მოსახლეობისადმი, მხოლოდ მისი ქრისტიანული მორალით არ აიხსნება. მან კარგად იცოდა პონტო-კაპადოკიის მოსახლეობის დიდი ნაწილის ქართული წარმომავლობა. პეტრე და სამოელი მის თვალში ქართველები იყვნენ. მეფემ ისინი თავისთან დაიტოვა და რელიგიურ საკითხებზე საუბრისას, მათ ვახტანგ გორგასალზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს, რომ მეფემ პეტრე ქართლის პირველ კათალიკოსად დასახა (პეტრეს შემდეგ კათალიკოსის ტახტი სამოელმა დაიკავა). მათი შუამდგომლობით დადო მეფემ შავი ბიზანტიელებთან.

რადგან ვარაზ-ბაკური ამ ზავს არ შეუერთდა, გადამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიელებსა და ვარაზ-ბაკურის ლაშქარს შორის ზღვასთან მდინარის შესართავთან (ხერთვისი) მოხდა. ჯუანშერის თანახმად, ეს იყო „ზღვის კიდე, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა“.

სპეციალურად შევისწავლე ამ ხერთვისის ადგილმდებარეობა. ძველად „ხერთვისი“ (ესაა სიტყვა „ერთვის“ – „ხანძერი“ ფორმა) ორი მდინარის, ან ზღვასთან მდინარის შესართავს ნიშნავდა. სწორედ ასეთ ადგილს წარმოქმნის ქ. სამსუნთან ზღვასთან შესართავში მდ. მერედ-ირმაქი. ზაფხულში, რადგან ამ მდინარის ყველა შენაკადი შრება, იქ, სადაც იგი ზღვას ერთვის რიყე წარმოიქმნება. მდინარე სანამ ზღვას შეურეთდება, დაახლოებით 13 კმ. ვაკეზე მიედინება. აქ მისი ნაპირები დაბალია, რის გამოც გაზაფხულის წყალდიდობებისას მდინარის წყალი კალაპოტიდან გადმოდიოდა და ზღვის სანაპიროს მიმდებარე ვაკეს ფარავდა. წყლით დაჭაობებულ ტერიტორიაზე ლერწამი იზრდებოდა. წყალდიდობისას წარმოქმნილ გუბებში დარჩენილი წყალი ქ. ამისოს (სამსუნის) ჰავაზე მოქმედებდა, რის გამოც მაისის ბოლოდან ოქტომბრის დამდეგამდე ქალაქსა და მის შემოგარენში ციების (ციებ-ცხელება) ეპიდემია ვრცელდებოდა. აი, სწორედ ამ ადგილებში მოხდა ბრძოლა 456 წლის შემოდგომაზე ბიზანტიელებსა და ვარაზ-ბაკურის ლაშქარს შორის. ბიზანტიელებთან ზავის დადების გამო, ქართველთა ლაშქარმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო. იქნებ, ამანაც განაპირობა ის, რომ „იძლია ბანაკი აღმოსავლეთისა“. ბრძოლაში დაიღუპა ვარაზ-ბაკური, ლეკთა მეფე იპაჯაჯი და მრავალი სხვა. ასე რომ, ზღვის პირას „ხერთვისის რიყეზე“ მომხდარი ბრძოლა „აღმოსავლეთის ბანაკისათვის“ მეტად სისხლისმღვრელი გამოდგა, რაც ბიზანტიურ სინამდვილეშიც აისახა.

„აღმოსავლეთის ლაშქრის“ ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობა რიყეზე ბრძოლით არ დასრულებულა. ბიზანტიელთა ერთ-ერთმა სარდალმა – პალეკარპოსმა ვახტანგ მეფე ორთაბრძოლაში გაიწვია; როგორც ჩანს, ბიზანტიელებმა იფიქრეს, ისინი თუ ქართველთა ლაშქარსაც დაამარცხებდნენ, მაშინ საზავო მოლაპარაკებისას დადებული პირობებისაგან თავისუფალი იქნებოდნენ. ვახტანგ მეფე დათანხმდა ორთაბრძოლას. მან „აღმოიხადა ხრმალი და შეამთხვია ჯვარსა“, გავიდა საბრძოლო რიგებს შორის და თქვა: ლომი და ხარი არ ებრძვიან ერთმანეთს, რამეთუ მე მეფე ვარ და შენ მონა. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე – „მოეტევა პალეკარპოს“, ორივე მეომარი ისეთი ხმით ყვიროდა, რომ მათი ხმა ქუხილს ჰგავდა, „დასცა ლახუარი პალეკარპოს ფარსა ვახტანგისსა“, ვიგრის ტყავის ფარში განვლო ლახვარმა ერთი წყრთა\*. რადგანაც ლახვარის სიმსხო იყო ვითარ მკლავი კაცისა, მეფემ ფარი მიატოვა ლახვარზე, „მიეტევა პირისპირ, და სცა ხმალი ჩაბალახსა ზედა განაპო თავი მისი ვიდრე ბეჭთამდე“. ამის შემდეგ, „მიეტევენეს სპანი ვახტანგისანი სპათა ბერძენთასა, და აოტეს ივინი,... და მიაწყუდინეს ზღვის პირსა“. მათგან არვინ გადარჩა, გარდა იმისა, ვინც მოასწრო ზღვაში მღვარ ნავეებზე გადასვლა – „ივლტოდეს ნავითა“. ამ გამარჯვების შემდეგ შემობრუნდა ვახტანგის სპა – „მივიდეს გუამსა ზედა ვარაზ-ბაკურისსა, ვახტანგის დედის ძმისასა, ივლოვდეს და შემურეს იგი საბრითა (ერთგვარი ბალახია, ვ.გ.) და მურითა (ერთგვარი სურნელოვანი ზეთი, ვ.გ.) და წარსცეს ბარდავად“.

ზემოაღნიშნული ბრძოლით დასრულდა 456 წლის შემოდგომაზე ბიზანტიის წინააღმდეგ სამწლიანი (453-456 წწ.) ლაშქრობა. ვახტანგის გამარჯვების

მიუხედავად, ეს ომი ბიზანტიურ წყაროში იმპერატორ მარკიანეს დროს აღმოსავლელთა ლაშქრის დამარცხებად იქნა მიჩნეული.

იმპერატორი მარკიანე გარდაცვალებამდე მწოლიარე ავდემყოფი იყო და 457 წ. 26 იანვარს გარდაიცვალა. ჯუანშერის ცნობით კი, ზავის დადებაში, რადგან ბიზანტიის იმპერატორი მონაწილეობდა, უფრო სარწმუნოა, ზავი ქართველ მეფესთან მარკიანეს შემდეგ საიმპერატორო ტახტზე ასულ ლეონს დაედო (ლევ I 457-474 წწ. ლეონი იმ ხანად ბიზანტიის ლაშქარს სარდლობდა). სწორედ მისი ასული იყო ვახტანგის მეორე მეუღლე – დედოფალი ელენე და მისგან შეძენილ ერთ-ერთ ვაჟს ვახტანგ მეფემ სიმამრის სახელი ლეონი დაარქვა (ელენესაგან ნაშობ მეორე ვაჟს ვახტანგის მამის სახელი – მირდატი ერქვა).

ლეონი და ვახტანგ მეფე ადვილად შეთანხმდნენ საზავო პირობებზე. ზავის პირობით: „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვითგან ვიდრე არსიანთამდე და ხევნი რომელნი მოსდგმანან ღაღოთა“ (ვახუშტის თანახმად, ესაა „მთა ფერსათი, ლომსიათ წოდებული“). შემდეგ იმპერატორმა გამოიკითხა, თუ სად გადიოდა ბიზანტიელთა საზღვარი აფხაზეთში (როგორც ვნახეთ, ეს ტერიტორია ბიზანტიელებმა 441 წელს დაიკავეს, ხოლო 447-450 წლებში ვახტანგ მეფემ კვლავ დაიბრუნა). ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცოდა ბიზანტიის მხარემ. ამიტომ ლეონმა ვახტანგს უთხრა: „ეგრის წყლითგან (ითვლება, რომ ეს არის ღალიძგა, ვ.გ.) ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა\* – ესე საზღვარი არს საბერძნეთისა... რომელი შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან“. ახლა ის უკან მოგვეცი და როცა ჩემს ასულს ცოლად წაიყვან, მას მზითვად მივცემო. ე.ი. ლეონმა მას სამზითვო ტერიტორიად „განუწესა მიწები: ეგრის წყალსა და კლისურას შუა“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ V ს-ში ეგრისი ცალკე სამეფო იყო, ამიტომ ქართლის მეფის მიერ იქ სამხედრო ოპერაციების ჩატარება, და ბოლოს, მისი მეუღლის მიერ მზითვად აღნიშნული ტერიტორიის მიღება, უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ხანად, ორივე ქვეყანა ირანის გავლენაში იყო და ვახტანგი იქ მოქმედებდა, როგორც ირანის პოლიტიკის გამტარებელი. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 453 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში ეგრისიც მონაწილეობდა. არსებობს ცნობა, რომ ბიზანტიელებმა ზავი ეგრისის მეფე გუბაზთანაც დადეს 456 წელს.

ასე დასრულდა ირანის ჩრდილო მხარის ჯარების ლაშქრობა ბიზანტიის წინააღმდეგ. ლაშქრობა ქართლის მეფემ თავის სასარგებლოდ გამოიყენა: 1. დაიბრუნა ადრე რომაელებისაგან მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორია (მცხეთაში მომავალმა მეფემ კლარჯეთის ერისთავს – თავის ძუძუმტეს არტავაზს უბრძანა შემოერთებულ ტერიტორიაზე აეგო არტანუჯის ციხე, გამოენახა სამონასტრო ადგილი და ისეთი მონასტერი აეგო როგორც საბერძნეთში იხილა); 2. მზითვად მიიღო ტერიტორია აფხაზეთში; 3. განიმტკიცა მდგომარეობა ქართლში. ჩამოიცილა სამეფო სახლის მოქიშპე შტო.

ვახტანგ მეფის საიმპერატორო კართან დანათესავება, იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან, ქართლი ბიზანტიური ორიენტაციის ქვეყანა ხდებოდა, რაც ირანის შაჰისათვის მიუღებელი იყო. ცხადია, შაჰი შეეცდებოდა ქართლში ირანის გავლენა აღედგინა. საქმე რომ ასე წარიმართებოდა, ეს ვახტანგ მეფემაც იცოდა. ამიტომ ქართლში დაბრუნებისთანავე, ირანელთა მოსალოდნელი თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის სამზადისს შეუდგა: „ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა, ჰკაზმიდა მხედართა და განამზედებდა ბრძოლად სპარსთა“. მეფემ სხვა ღონისძიებებიც გაატარა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართლის ქრისტიანი მოსახლეობა ბინქარან ცეცხლთაყვანისმცემელთა „ეპისკოპოსის“ მხრიდან დიდ ზეწოლას განიცდიდა. ამიტომ მეფემ შეაგდო „საპყრობილესა შინა ბინქარან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, მოსრნა, განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“.

მეფის ასეთი ღონისძიებანი ირანის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა.

ახლა ვნახოთ რა ხდებოდა ირანში.

როცა ირანის შაჰმა გაიგო „ვითარმედ მიიქცა ვახტანგ ბერძენთა კერძო (მხარეს, ვ.გ.), შეიქცა სპარსეთად და მოკუდა. დაჯდა მეფედ ძე მისი, და ვიდრე მოიწიფებოდა... წარხდა (გავიდა, ვ.გ.) ამას შინა წელიწადი სამი“.

ირანის შაჰი, რომელიც ვახტანგის „ლალატის“ შეტყობისას გარდაიცვალა იეზდიგერდ II იყო (იგი 457 წელს გარდაიცვალა). ტახტი მისმა უფროსმა ძემ – ჰორმიზდ III-მ დაიკავა, მაგრამ მას უმცროსი ძმა პეროზი აუჯანყდა. ასე დაიწყო ირანში შინაომი. ბოლოს, პეროზმა დახმარებისათვის შუააზიელ ჰუნებს – ჰეფთალიტებს (იგივე თეთრი ჰუნები) მიმართა. პეროზს მხარი დაუჭირეს ირანელმა დიდგვაროვნებმაც და ორწლიანი ბრძოლების შემდეგ, ჰორმიზდ III მოკლული იქნა. 459 წელს ტახტზე პეროზი ავიდა (ეს შაჰი, „შუშანიკის წამებაში“ იხსენიება). სანამ პეროზი შინაომით აშლილ ქვეყანას მოაწესრიგებდა, ერთი წელი კიდევ გავიდა და 460 წელს იგი „წარმოემართა ბრძოლად ვახტანგისა“ – დიდი ლაშქრით ქართლს მოადგა.

ქართლში ირანელთა მოსალოდნელი შემოჭრის შესახებ ვახტანგ მეფემ ბიზანტიის იმპერატორი ლეონი (ლევი) ადრევე გააფრთხილა. წერილით იგი იმპერატორს ატყობინებდა: „აჰა დადგა დღე, რომელიც აღმითქუამს“, სპარსელები უკვე ქართლის საზღვართან არიან. მე რაც აღთქმა დავდე, შევასრულე. სადაც ცეცხლის სახლი იყო, ყველა მოვსპე, მოგვები სატანჯველს მივეცი, მათი ეპისკოპოსი საპყრობილეში ჩავსვი და სიკვდილის შიშით გარდაიხვეწა. სწრაფად გამოგზავნე დამხმარე ძალა, რათა ჯვრის სარწმუნოების მტრები დავამარცხოთ. თუ მათ გვძლიეს, კიდევ უფრო გაძლიერდებიან და შენს საზღვარსაც მოადგებიან.

როცა მეფის მოციქულმა საიმპერატორო სასახლეში ვახტანგის წერილი მიიტანა, აღმოჩნდა, რომ იმპერატორი წასული იყო საომრად და დასახმარებლად „ვერ მოიცალებდა“. ვახტანგ მეფეს ისლა დარჩა, შემოსულ მტერს მხოლოდ ქართლის ლაშქრით შეებოდა.

ჯუანშერი, როგორც ქართლის სამეფოს სპასპეტი და მცხეთასთან მიმდინარე ბრძოლების მონაწილე, დეტალურად აგვიწერს 460 წელს ქართლში



შემოჭრილ ირანელთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებს. ირანელთა შემოჭრამდე მეფეს მცხეთაში – მოგვთა უბნიდან – არმაზში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირისაკენ გადებული ხიდი გაუფართოვებია. მცხეთაშივე გამაგრდა ვახტანგ მეფე და ჯუანშერ სპასპეტი. ნასრა და მირდატ ერისთავები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იდგნენ „სომხითისა და ქართლისა“ ჯართან ერთად. სპარსთა ლაშქარი დღევანდელი დიდუბის მიდამოებში დაბანაკდა.

ბრძოლების მიმდინარეობას ჯუანშერი ასე აღწერს: თუ ბრძოლები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაიმართებოდა, ქართველთა ლაშქარი მათ მცხეთიდან ეხმარებოდა. მცხეთის მხარეს ბრძოლები, ძირითადად, მდ. არაგვის პირას მიმდინარეობდა. ხშირად ქართველთა ლაშქარი მტკვარს „ტფილისის ფონთან“ გადაკვეთდა და იქ შეებმებოდა ხოლმე მტერს. ამ ბრძოლებში ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე.

ჯუანშერის სიტყვით, სწორედ ამ ბრძოლებში ჰქონდა ვახტანგ მეფეს „ოქროს ჩაბალახზე“ (მუზარადზე) გამოსახული „წინით მგელი და უკანით ლომი“. სადაც ბრძოლის ყველაზე ცხელი ადგილი იყო, ვახტანგიც იქ გაჩნდებოდა ხოლმე და „მოსრიდა სპარსთა“.

სპარსელებმა დაინსომეს – მხედარი, რომელსაც მუზარადზე მგელი და ლომი ჰქონდა გამოსახული – ვახტანგ მეფე იყო. ამიტომ, ვახტანგის გამოჩენისას ყვიროდნენ: „ღურ აზ გორგასალ“. ეს სპარსული სიტყვები ჯუანშერის თანახმად, ნიშნავს: „მოერიდეთ თავსა მგლისასა“. ამის შემდეგ „სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალი“-ო წერს იგი. ე. ი. 460 წელს მცხეთა-თბილისთან ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლებისას იწოდა ვახტანგ მეფე „გორგასალად“ (ამის შემდეგ, თხრობისას მას მეც ასე მოვიხსენიებ).

ქართლში შემოჭრილ ირანელებთან ბრძოლა ოთხი თვე გაგრძელდა. შაჰის ლაშქარმა არსებით წარმატებას ვერ მიაღწია. ბრძოლები, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, ბიზანტიიდან იმპერატორის დესპანი რომ არ მოსულიყო. იმპერატორი ვახტანგ გორგასალს ატყობინებდა, რომ მის დასახმარებლად ლეონის სარდლობით 80 000 მეომარი მოემართებოდა (ეს ლაშქარი ბიზანტიის სამხედრო ერთეულის – „Pontica“-ს სამხედრო ძალები იყო, ლეონი კი ამ სამხედრო ერთეულის ჯარების სარდალი). წერილის მოტანისას ბიზანტიელთა ლაშქარი უკვე ჯავახეთში იყო მოსული. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ირანის შაჰისათვის გახდა ცნობილი. შაჰმა უკეთესად ჩათვალა ვახტანგს დაზავებოდა.

სხვა საკითხებთან ერთად, საზავო მოლაპარაკებისას ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, შემდეგში, ირანელები ქართლის რელიგიურ საქმეებში აღარ ჩარეულიყვნენ. თუ შაჰი ამ პირობაზე დათანხმდებოდა, ვახტანგი შაჰს პირდებოდა, რომ მას „მამად და უფლად“ მიიჩნევდა. როცა შაჰს ვახტანგ მეფის მოთხოვნა მოახსენეს, მან ძღვენი გამოუგზავნა მეფეს და მათ შეხვედრის დრო დათქვეს.

ამის შემდეგ, შაჰმა აყარა ლაშქარი და „უკუდგა რუსთავად“, განთიადისას კი ამალით გამოვიდა და დადგა „ველსა კალისასა“ (ე. ი. თბილისში), ხოლო ვახტანგი „დადგა ჯაჭუს და შეკრბეს მასვე ველსა ორნივე მეფენი“.

შეხვედრების მესამე დღეს ვახტანგ გორგასალი და ბიზანტიელთა სარდალი ლეონ ანთიპატი\* კვლავ შეხვდნენ შაჰს. ვახტანგის შუამდგომლობით შაჰი ბიზანტიასაც დაუზავდა. ამ ზავით, ირანსა და რომს შორის 363 წელს დადებული ზავის პირობებით გათვალისწინებულ სასაზღვრო ხაზზე შეთანხმდნენ.

თბილისთან გამართული ბრძოლების გამო, „ტფილისი სოფელი და კალაცა მოოხრებული იყო“, რაც იმაზე მიგვითითებს, 460 წლისათვის თბილისს გალავანი რომ არ ჰქონდა და ჯერ კიდევ არ იყო სააღმშენებლო სამუშაოები დაწყებული სამეფო ტახტის მცხეთიდან თბილისში გადასატანად.

ზავის დადების მიუხედავად, შაჰს პრეტენზიები არ ელეოდა. მეორე დღესვე მან ვახტანგ გორგასალს თავისი მობედი (ცეცხლმსახური) გამოუგზავნა, რომელმაც მეფეს შაჰის დანაბარები გამოუცხადა: „მე ისე გავარიგე საქმე როგორც შენ გსურდა. მართალია, ამის გამო მე ირანის უხუცესნი გამირისხდებიან, რადგან ისინი ჩემგან ბერძნების დამარცხებას მოელოდნენ, მე კი შენი შუამდგომლობით, პირიქით, მათ ჩემი ტერიტორიები დავეუთმე. ახლა ჩემი სათხოვარი ესაა – შენი და ცოლად მომეცი, შენც წამოდი ჩემთან ქართველთა ლაშქრით ჩემი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად“ – შაჰი ვახტანგის უმცროსი დის მირანდუხტის შერთვას ითხოვდა.

შაჰის ამ მოთხოვნას, ბიზანტიელმა სარდალმა ლეონმაც დაუჭირა მხარი და შეჰპირდა სამხედრო ძალით დახმარებას. ვახტანგ გორგასალი იძულებული გახდა შაჰის თხოვნაზე დათანხმებულიყო.

### **ჰუნთა წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლა**

ჰუნები, რომელთა წინააღმდეგ ირანელებთან ერთად ვახტანგ გორგასალს ქართველთა ლაშქრით უნდა ებრძოლა, შუა აზიიდან ინდოეთის ოკეანემდე, ვრცელ ტერიტორიაზე ბატონობდნენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლა დიდ დროს მოითხოვდა, ქვეყანა მეფის გარეშე რჩებოდა. უფლისწული დაჩი 460 წლისათვის ჯერ მხოლოდ 5 წლისა იყო. მეტი გამოსავალი არ იყო, ვახტანგ მეფემ მას დაადგა გვირგვინი, შვიდი წარჩინებული თანამდგომად დანიშნა – მათ შორის იყო „ჯუანშერ სპასპეტი მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა“.

ვინ იყვნენ ირანის მტრები, რომელთა წინააღმდეგ ირანელებთან ერთად ვახტანგ გორგასალი ჯორჯანეთში, ინდოეთში, სინდეთსა და აბაშეთში 8 წელი იბრძოდა?

V ს-ის სომეხი ისტორიკოსების ფავსტოს ბუზანდაცისა და ელიშეს ცნობებით, ირანის შაჰებს აღმოსავლეთში გამუდმებული ბრძოლები ჰუნ ქუშანებთან ჰქონდათ.

ქუშანთა\* გაერთიანება ზემოდასახელებულ ტერიტორიებზე ახ. წ. დამდეგს ჩამოყალიბდა და იმ ხანად ძველი მსოფლიოს იმპერიებს შორის ერთ-ერთი უძლიერესი იყო. შემდეგ, ის დაემცრო, და ირანის შაჰებმა დროებით მისი

დამორჩილება შეძლეს. ვახტანგის დროს საჭირო გახდა ხელახლა დამორჩილება.

ირანის შაჰს პეროზსა და მეფე ვახტანგს მცხეთიდან თან გაჰყვა დედოფალი საგდუხტი და ვახტანგის და ზუარანძე, რათა იერუსალიმის წმიდა ადგილები მოელოცათ. წმიდა ადგილების მონახულების შემდეგ, ისინი დაესწრნენ შაჰის ქორწილს და უმჯობესად ჩათვალეს ვახტანგ მეფეს ქურჭაში (იგივე ედესა) დალოდებოდნენ.

ჰუნების წინააღმდეგ მიმავალი ლაშქარი ქ. ნისიბისში შეიკრიბა. იქ მივიდა ვახტანგ გორგასალი ქართველთა ლაშქრით, ასევე ლეონი ბიზანტიელთა რაზმებით და გაემართნენ კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ველებზე (ჯორჯანეთში) მომთაბარე ჩოლების (იგივე ჰეფტალიტები, თეთრი ჰუნები) წინააღმდეგ.

ჯორჯანეთში წარმატებით დამთავრებული ლაშქრობის შემდეგ, ირანის ლაშქარი ინდოეთში გადავიდა (იმჟამად იქ არსებული ქუშანთა სახელმწიფოს დედაქალაქი ჰურუშაპურა, ახლანდელი პეშავარი იყო). დაიმორჩილეს იქაური ჰუნები, მათგან ხარკი აიღეს და სინდეთს მიაღწენ.

ძველ საქართველოში სინდეთად მდ. ინდის ქვემო წელზე არსებული ქვეყანა იწოდებოდა (ესაა ახლანდელი პაკისტანის ტერიტორია). ქუშანთა გაერთიანება იქ ახ. წ. III ს-ში შეიქმნა. პეროზის ლაშქარს სინდთა მეფე მომზადებული დახვდა. მოსახლეობა ციხეებსა და ქალაქების გალავნებს შიგნით იყო შეხიზნული. სინდთა მეფის მეომრები კი მოულოდნელი თავდასხმით ირანელთა ლაშქარს დიდ ზიანს აყენებდნენ.

სინდთა მეფე „მხნე, გოლიათი და შემმართვეული“, ყოველდღე გამოდიოდა საბრძოლველად. მან არაერთ სპარს ბუმბერაზს სძლია. ერთ ღამეს, სინდთა მეფის ბრძანებით, ისეთი ორმო ამოთხარეს, შიგ ათამდე მხედრის მოთავსება შეიძლებოდა. ზემოდან ისე შენიღბეს, არაფერი არ ეტყობოდა. ორმოს იქით ქალაქის კედლამდე მხოლოდ ვიწრო გასასვლელი გზა დატოვეს. დილით ადრე ერთი სინდი მეომარი საბრძოლველად გამოვიდა. იმ ხანად ციხის კარს რადგან ქართველები დარაჯობდნენ, სინდ მეომართან საბრძოლველად ვახტანგ მეფის ეჯიბი (ძველ საქართველოში ეჯიბი სამეფო სასახლის მსახურთა უფროსს ეწოდებოდა) საურმაგი გავიდა. მან სინდ მეომარს უთხრა: „შენ არა ხარ ღირსი მეფე შეგებრძოლოს, მონა ხარ და მე შეგებრძოლები“-ო. ამ სიტყვების გამგონე სინდმა მებრძოლმა შეატრიალა ცხენი და გაქუსლა. უკან საურმაგი დაედევნა, როდესაც სინდი მეომარი, საგანგებოდ დატოვებულ ვიწრო გზით შენიღბულ ორმოს გასცდა, მაშინ შემოუბრუნდა საურმაგს. საურმაგმა მას ჰოროლი (ლახვარი, შუბი) სცა და მოკლა, მაგრამ, ორმოდან სინდი მხედრები ამოვიდნენ და მათთან ბრძოლაში საურმაგი დაიღუპა. ამ ამბის შემყურე ვახანგ მეფე და მისი ერისთავები: არტავაზი, ბივრიტიანი, ნასარი სასწრაფოდ გაეშურნენ ციხისაკენ, მაგრამ ვერ მიაღწერეს – სინდმა მებრძოლებმა ქალაქის გალავანს შეაფარეს თავი. „მაშინ ვახტანგ სავსე მწუხარებითა“ გამობრუნდა უკან „იგლოვდა გუამსა ზედა საურმაგისასა ვითარცა ძმისა საყვარლისასა, რამეთუ თანაზრდილ იყო მისი“. საურმაგი არტავაზის მამის, ვახტანგის მამამძუძის – საურმაგის ძმისწული იყო, მეფის „ერთგული, მისანდობელი და ქუელი“.

სინდთა მეფემ ქალაქის გალავნიდან ვახტანგს ყვავისა და ქორის არაკი მოუთხრო. არაკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სინდეთის ხელმწიფემ, ქრისტიან მეფეს ურწმუნო შაჰის მსახურებაში დასდო ბრალი. თავის მხრივ, ვახტანგმა უპასუხა და თავის ქმედება ახსნა. მან სინდეთის მეფეს ამცნო რომ წმინდა ქალაქი იერუსალიმი გამოიხსნა, მაგრამ თუ სპარსელები „მტერ ექნებიან ქრისტიანთ“, მაშინ იგი მთლიანად ქრისტიანთა მხარეზე დადგებოდა. ბოლოს ვახტანგ გორგასალი სინდთა მეფემ ორთაბრძოლაში გამოიწვია. ვახტანგ მეფე დათანხმდა. ორივეს ხელთ ჰოროლები (შუბები) ეპყრათ. დაიწყო ორთაბრძოლა და „იწყეს რბევად მრგულივ ნავარდსა“, ორივე მარჯვე დროს ეძებდა, რათა მოწინააღმდეგისათვის შუბი ეძგერებინა. პირველად ეს სინდთა მეფემ მოახერხა, მაგრამ მეფემ „სიმხნითა და სიკისკასითა (ე.ი. მოქნილობით, ვ. გ.) ტანისა მისისათა“ ჰოროლი აიცილა და, საპასუხოდ თავისი ჰოროლი ისე სცა მარცხენა ბეჭში, რომ საჭურველის სიმაგრემ ვერ გაუძლო და შუბის პირი ერთი წყრთა წინ გავიდა. ცხენიდან ჩამოვარდნილ სინდთა მეფესთან მიიჭრა ვახტანგი ფეხში ხელი სტაცა და ირანის შაჰის წინ მიათრია.

ამ ამბის შემყურე სპარსთა მეფე და „ყოველი ბანაკი მისი“ სიხარულით აღივსო, „ყოველმან სპამან ხმითა მალლითა შესძახეს ქება ვახტანგს“. შაჰმა დაჭრილი სინდთა მეფისათვის მკურნალი იხმო, უნდოდა მისი ტყვედ წაყვანა, მაგრამ ვახტანგის თხოვნით იგი გაათავისუფლა, მისი ორი შვილი კი მძევლად აიყვანა. სინდეთს ინლოეთზე ორჯერ მეტი ხარკი გადაახდევინა, რომელიც ვახტანგს მიანიჭა. თავის მხრივ, სინდთა მეფემ დიდი მადლობა მოახსენა მეფეს, ჯერ იმისთვის, ცხენიდან გადმოვარდნილი რომ არ მოკლა, მეორე – ტყვეობიდან რომ დაიხსნა, ამიტომ მან თავის მხრივ, ძღვენი „მიუწვდომელი და დიდძალი“ მიუძღვნა ვახტანგ გორგასალს.

სინდეთს შესვლითგან მეოთხე წელს ლაშქარი აბაშეთისაკენ გამოემართა. შაჰინ-შაჰ პეროზთან ერთად ვახტანგ გორგასლის აბაშეთში ლაშქრობის ამბავი, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ყველაზე ზღაპრულ ამბად ითვლებოდა. საქმე ის იყო, რომ V ს-ში ქართველებმა თუ კარგად იცოდნენ აბაშეთი რომ ირანის მოსაზღვრე ქვეყანა იყო, X-XI საუკუნეებიდან ეს ცოდნა დავიწყებას მიეცა და აბაშეთად ეგვიპტის სამხრეთით მდებარე ეთიოპია იწოდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ჯუანშერის ცნობები აბაშეთზე ჩვენმა მეცნიერებმა არარეალურად მიიჩნიეს.

აქ ნახსენებ აბაშეთში სინამდვილეში რომელი რეგიონი იგულისხმება, ამას ქვემოთ განვმარტავ. სინდეთიდან წამოსული ლაშქარი, როგორც გაირკვა, ახლანდელი ავღანეთისა და ირანის სახელმწიფოებში შემავალი ძველი ღრანგიანას ტერიტორიაზე შევიდა. ძვ. წ. II ს-ში ამ მხარეში საკები (ირანული მოდგმის ტომები) დამკვიდრდნენ, რის გამოც იგი „საკასტანად“ („საკების ქვეყნად“) იწოდა. III ს-ში იქ ქუშანები გაბატონდნენ, რომელნიც ირანელებმა დაიპყრეს, იმხანად კი განდგომილები იყვნენ.

ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებს ამ ქვეყანას ჯუანშერი: „და მოვიდეს მუნით (ე. ი. სინდეთიდან) აბაშეთს, ხოლო აბაშნი მსხდომარე იყვნეს ქუეყანასა, რომელსა მოსდგმიდა წყალი და ლერწმონი, რომელსა ვერ იარებოდა ნავი, და

ვერცა ოთხფეხი, არამედ საზღვართა ზედა არს სპარსთასა, და სულგრძელად ჰბრძოდეს. რამეთუ წყალი იგი რომელ შესდიოდა, გადაუგდეს, და ლერწმონი იგი დაწუეს ცეცხლითა, და წარმოტყვევნეს აბაშეთი ყოველი“.

მკითხველი დამეთანხმება, რომ აბაშეთი, მართლაც, საკმაოდ უცნაური ქვეყანა ყოფილა. ლერწმიანში თავშეფარებულ მოსახლეობას იქ ხელოვნურად შეუშვიათ წყალი. თუმცა, წყალი არც იმ სიღრმისა იყო, ნავებით შესულიყვნენ. პეროზის მოლაშქრეებმა მხოლოდ წყლის ძველ კალაპოტში გადაგდების შემდეგ წაუკიდეს ცეცხლი ლერწმოვანს და ასე დაიმორჩილეს აბაშნი. ჯუანშერის ცნობები სისტანის შესახებ ერთ-ერთი უძველესია და იგი ზუსტად ასახავს იმ ვითარებას, რომელზედაც ქვემოთ შევჩერდები.

XIX ს-ში შედგენილი აღწერით, შიდა სისტანის ჩრდილოეთით ორი ლაგუნა (თხელი ტბა) მდებარეობს. მათ ერთ მხარეს, აღმოსავლეთით მდ. ჰილმენდის ძველი დინების კალაპოტი ესაზღვრება. სამხრეთის საზღვარს კი სისტანის დიდი არხი ქმნის, რის გამოც ამ ტერიტორიას სამი მხრიდან წყალი აკრავს. ტაფობში (ირანულად „ჰამუნ“), სადაც ზემოდასახელებული ლაგუნები მდებარეობენ, ავღანეთის მხრიდან მდინარეები: ჰარუდ რუდი, ფარაჰ რუდი, ჰილმენდი და ქასრუდი ჩაედინებიან. ლაგუნების სამხრეთით გადაჭიმულია ჭაობიანი სივრცე (ირან. „ნაიზარ“). წყალდიდობისას ორივე ლაგუნა ტბებად იქცევა ხოლმე და ერთიანდება. წყლის დონის მომატებისას ტბიდან გადმომდინარე წყალი სამხრეთით მდებარე ჭაობიან სივრცეს ფარავს, რის გამოც ეს ტერიტორია დიდ ტბას ემსგავსება. ტბებში წყლის დონემ თუ კიდევ მოიმატა, მაშინ ტბიდან გადმომდინარე წყალი ერთი ტოტით უფრო სამხრეთით, გაავდი ზარიჰის ტბის ღრმულში გადადის და სისტანის მთელი ტაფობი წყლით იფარება. მაგრამ, ჩანს, ეს იშვიათად ხდება.

როცა აბაშეთის (სისტანის) ტერიტორიაზე პეროზის ლაშქარი შევიდა, წყალდიდობა კი არ იყო, არამედ აბაშებს ტაფობაში ხელოვნურად ჰქონდათ შეშვებული წყალი, რის გამოც, მოხერხდა წყლის გადაგდება, ლერწმოვანის დაწვა და შიგ მსხდომარე აბაშთა დამორჩილება. „განყენა მეფემან სპარსთამან აბაშნი ორად: და ნახევარნი დაუტევნა ადგილსავე ზედა, და ნახევარი წარმოიყვანნა ვითარ სახელი ათასი, და განყენა იგინი ადგილითი-ადგილად. და ესენი არიან ქურდნი, ნათესავნი იგი რომელ წარმოტყუენა აბაშთაგან“.

\* \* \*

აბაშეთის დამორჩილებით დასრულდა შაჰინ-შაჰ პეროზთან ერთად ვახტანგ გორგასლის ხანგრძლივი ლაშქრობა ირანის მტრების წინააღმდეგ. 468 წელს ირანის დედაქალაქში ჩასულ პეროზს, იქ ქართლის პიტიანში ვარსქენი დახვდა. გავიხსენოთ, როგორც „შუშანიკის წამების“ ავტორი იაკობ ცურტაველი წერს, იგი „მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა წარემართა კარად სამეფოდ“.

459 წელს ავიდა ტახტზე პეროზი და მისი მეფობის მერვე წელი 467 წელია. რა თქმა უნდა, ვარსკენმა იცოდა ლაშქრობიდან ვახტანგი დიდი სახელითა და შაჰის ნდობით აღჭურვილი რომ დაბრუნდებოდა, ამჯერად მისთვის ძნელი არ იქნებოდა ურჩ ქვეშევრდომს გასწორებოდა. ამიტომ დაასწრო ვარსკენმა. შაჰის კარზე ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღებითა და შაჰთან დანათესავებით, იგი ვახტანგისაგან ხელშეუხებელი პიროვნება გახდა. თუმცა შაჰ პეროზის დალუპვისთანავე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგი ვახტანგ მეფემ მოაკვლევინა.

სანამ ქართველთა ლაშქარი ირანელთა ბანაკს დატოვებდა, შაჰმა თავისი ასული ცოლად ვახტანგ მეფესაც შესთავაზა, მაგრამ ვახტანგმა უპასუხა: „არა ჯერ არს ჩემგან ორთა ცოლთა პერობა, რამეთუ მივის მე ცოლი ასული კეისრისა“. შაჰს არ მოეწონა მეფის პასუხი, „დაუმძიდა მეტად“, მაგრამ ვახტანგს, რომელსაც მის გამარჯვებებში ამდენი წვლილი მიუძღოდა, არაფერი უთხრა. ამგვარად: „წარმოვიდა ვახტანგ წელსა მერვესა“ სპარსეთს შესვლიდან და მივიდა ქ. ურჭაში, სადაც „მშვიდობით პოვნა დედა და დაი მისი“. ურჭადან წამოსულნი კი როცა ბიზანტიის საზღვარს მიადგნენ, ბიზანტიელთა ლაშქარი ლეონის სარდლობით ბიზანტიის შიდა რაიონებისაკენ გაემართა, ვახტანგ მეფემ კი აქედან „წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესათვის“. ვახტანგი იმპერატორს სთხოვდა, პეტრე კაპადოკიელი ქართლის კათალიკოსად ეკურთხებინათ (ეს აქტი, იმპერიის, კერძოდ ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ, ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ანუ დამოუკიდებლობის მინიჭებას ნიშნავდა).

ქართლში შემოსულ მეფეს „ძე მისი დაჩი და მის თანა ყოველნი სპასალარნი, და მათ თანა ეპისკოპოსნი“ მიეგებნენ. მათ შორის იყო, იმ ხანად ქართლის ეკლესიის მეთაური, ვახტანგის აღმზრდელი მიქაელი. როცა მიქაელმა შეიტყო მეფის განზრახვა ქართლის კათალიკოსად პეტრეს დასმის შესახებ, „იწყო ამბოხებად და მიზეზობად“ – მეფეს ქრისტიანობის დატოვებასა და ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღებაში დასდო ბრალი. მეფემ უარყო მიქაელის ბრალდება და უთხრა, რომ ქრისტეს ძალითა და თანადგომით მოიარა ეს ლაშქრობა, კონსტანტინოპოლში კი, მართლაც გააგზავნა მოციქული თხოვნით, რათა პეტრე კათალიკოსად ეკურთხებინათ.

ამ სიტყვების გამგონე მიქაელმა „კრულ-ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი“. ასეთი დაწყევლის მიუხედავად, მეფემ სცადა ვითარება არ გაემწვაკვებინა, გადმოხდა ცხენიდან და დააპირა ეპისკოპოსის ფეხს მთხვეოდა, მაგრამ მიქაელმა „მიამთხვია პირსა მეფისასა ფანდაკითა\*“ და მეფეს კბილი ჩაუბტვრია. მეფემ მიქაელს, რა თქმა უნდა, ეს აღარ აპატია, მას „ვეცხლის მოყვარე“ უწოდა, გადააყენა ქართლის ეკლესიის მეთაურის კათედრიდან და დასასჯელად კონსტანტინოპოლში გააგზავნა, სადაც „მღვიძართა“ მონასტერში მონაზვნად აღკვეცეს.

როგორც ვიცით, დედოფალმა საგდუხტმა მიქაელი იმ დროს მოიყვანა ბიზანტიიდან, როცა ბინქარან ცეცხლთაყვანისმცემლის ზეწოლით მრავალმა ქართველმა დატოვა ქრისტიანობა და მიქაელი შეებრძოლა ბინქარანს. ისიც

ვიცით, რომ მიქაელი ვახტანგის აღმზრდელი იყო. ამიტომ, ცხადია, ჩნდება კითხვა, რა მოხდა, რატომ უარყო ვახტანგ მეფემ თავისი აღმზრდელი და ქრისტიანობისათვის თავდადებული მიქაელი, არ დასვა ის ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად, და რატომ მოიწადინა ამ ადგილას დასასმელად მაინცდამაინც პეტრე კაპადოკიელი?

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მეფესა და ეპისკოპოსს შორის მომხდარ კონფლიქტს ხან რელიგიურ ნიადაგზე წამოჭრილი დაპირისპირებით, ხან კი მიქაელის ვერცხლის მოყვარეობით ხსნიდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ვახტანგ მეფეს არ სურდა ქართლის დამოუკიდებელი ეკლესიის პირველი მეთაური ისევ ბიზანტიიდან (ანტიოქიიდან) გამოგზავნილი მიქაელი ყოფილიყო. ამით ეკლესიის დამოუკიდებლობას აზრი ეკარგებოდა. პონტოში ლაშქრობისას გაცნობილი პეტრე კაპადოკიელი კი ვახტანგ მეფისა და, საერთოდ, ქართველთა თვალში სავარაუდოა, ტომით ქართველად აღიქმებოდა – ქართველი იყო (გავიხსენოთ, ასევე კაპადოკიიდან იყო ქართველთა განმანთლებელი წმიდა ნინო, პონტოდან იყო წარმოშობით ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის, მეორე მეუღლე ნანა დედოფალი). როგორც ჩანს, კაპადოკია, იმ დროს ქართველთა თვალში ქართველთა ქვეყნად იყო მიჩნეული.

468 წელს ირანიდან ქართლში დაბრუნების შემდეგ, ვახტანგ გორგასალი აშკარად ანტიირანულ პოლიტიკას დაადგა. ირანის შაჰი პეროზი და ქართლ-ალბანეთის მარზპანი მაშინვე მიხვდნენ, რომ ვახტანგის ასეთ კურსს თუ ზღვარს არ დაუდებდნენ, ქართლზე გავლენას დაკარგავდნენ. უფრო გამკაცრდა მათი დამოკიდებულება ქართლის მოსახლეობისადმი, შედეგამაც არ დააყოვნა – როცა ირანს შუა აზიაში ისევ გაურთულდა მდგომარეობა, – ამიერკავკასიაში აჯანყება დაიწყო.

482 წელს შაჰმა პეროზმა აჯანყებული ჰეფთალიტების დამორჩილება განიზრახა. შუა აზიაში სალაშქროდ ამიერკავკასიის ქვეყნებში მდგომი ჯარების ნაწილიც ირანში გაიწვია, ამან თავის მხრივ აჯანყება დააჩქარა. ანტიირანული აჯანყება ალბანეთში დაიწყო. მცირე ბიძგი იყო საკმარისი სომხეთისთვისაც. ამიტომ, როცა ვახტანგ გორგასალმა აჯანყება წამოიწყო, სომხეთის თავკაცებმაც გადაწყვიტეს მისთვის მიებაძათ. V ს-ის სომეხი ავტორის – ლაზარ ფარპეცის ცნობით, იმ დროს ვახტანგი მთელ ამიერკავკასიაში ცნობილი იყო, როგორც მამაცი და ჭკვიანი მეომარი და სომხებმაც ამიტომ გადაწყვიტეს აჯანყებული ქართლის მეფისათვის მხარი დაეჭირათ.

აჯანყების პირველსავე წელს ვახტანგმა, მართალია, მოახერხა ქართლის ციხესიმაგრეებში მდგომი ირანული გარნიზონების განდევნა, მაგრამ ჩრდილო კავკასიიდან დიდი ლაშქრის გადმოყვანა ვერ შეძლო – დამხმარედ მას მხოლოდ 300 ჰუნი მოუვიდა. 483 წლის გაზაფხულზე აჯანყებულთა წინააღმდეგ ირანიდან მიჰრანისა და ატრნერსეჰის სარდლობით დიდი ლაშქარი გამოგზავნეს. ვახტანგი იძულებული იყო ქართველთა ლაშქრით ქართლის საზღვართან სომხეთის მთიანეთში გადასულიყო. იქ ელოდა სომხეთის დამხმარე ძალებს. მეფე მათ ჰუნთა დიდი ძალების მოსვლასაც პირდებოდა. ვახტანგ მეფის მოწოდებაზე სომეხთა სარდალი ვაჰან მამიკონიანი სომეხთა ლაშქრით მთებში

ავიდა. აშკარა იყო რომ ირანის ლაშქარი ქართლის მოსახლეობის ძარცვას დაიწყებდა, ამიტომ ვახტანგს სურდა, ბარში ჩასულიყვნენ და იქ შებმოდნენ მტერს, მაგრამ სომხები უარს ამბობდნენ. ლაზარ ფარპეცის ცნობით, ვაჰან მამიკონიანი ხელდავდა „სომეხთა ჯარის სისუსტეს“, „მას დაჰკარგოდა მხნეობა და დაუძღურებული იყო“, არ ჰქონდა „სხვა დროის გულმოდგინება და მონღოლება“. ბევრი სომეხი მზად იყო ირანელთა მხარეზე გადასულიყო. ვახტანგ მეფემ, სომხები ბარში ჩასვლაზე რომ დაეთანხმებინა, ასეთი ხერხიც კი იხმარა. სომეხთა და ქართველთა ჯარიდან გაგზავნილ მსტოვრებს შორიდან დაანახეს მრავლად დანთებული კოცონები, რომელთა ირგვლივ მეომართა მსგავსად ხის კუნძები ელაგა. ვახტანგის განმარტებით ეს ჰუნთა ლაშქარი იყო და ელოდა ბარში სომხებისა და ქართველების ჩასვლას. ვახტანგი სომხებს არწმუნებდა, თითქოს, ჰუნებს ეთქვათ, ოღონდ სომხები ჩამოვიდნენ აქ და მერე სპარსელებს ჩვენ თვითონ გავუსწორდებითო.

ბოლოს და ბოლოს ვახტანგ მეფემ თავისი გაიტანა, 483 წლის ზაფხულში დილით ადრე, აჯანყებულთა ლაშქარი ჭარმანიანის ველზე ირანელებს შეება. ვახტანგ გორგასალი და ვაჰან მამიკონიანი თავგანწირვით იბრძოდნენ, აჯანყებულებმა გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს, მაგრამ ამ დროს სომეხთა ნაწილმა ბრძოლის ველი მიატოვა. აჯანყებულთა შორის შექმნილი უწესრიგობით ისარგებლეს ირანელებმა და უფრო მედგრად შეუტიეს. აჯანყებულთაგან ბევრი ტყვედ ჩავარდა, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

სექტემბერი დადგა და ირანელთა სარდლებმა ქართლი დატოვეს. 483-484 წლების ზამთარმა მშვიდად ჩაიარა. 484 წლის გაზაფხულზე ქართლში დიდი ლაშქრით ირანელთა ახალი სარდალი ზარმიჰრ ჰაზარავუხტი შემოვიდა. მას შაჰისაგან დავალებული ჰქონდა „ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა ქვეყნიდან გაეძევებინა“. შაჰი კი კვლავ ჰეფთალიტების წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა.

ქართლში შემოსულმა ირანელთა სარდალმა მეფეს კი აღარ გაუმართა ბრძოლა, მოღალატე დიდებულები დაიბარა თავისთან. ასეთი ქართლის სამეფოში არაერთი გამოჩნდა. ვახტანგი იძულებული გახდა ეგრისში გადასულიყო, მაგრამ დრო ისევ ქართველთა სასარგებლოდ შეიცვალა, – ქართლში ირანის ლაშქრის დიდი ნაწილისა და თვით პეროზის დაღუპვის ამბავი მოვიდა. ჰაზარავუხტმა ქართლი დატოვა. ქართლში დაბრუნდა ვახტანგ მეფე და ქვეყნის აღდგენა დაიწყო. მან სასწრაფოდ მოიშორა თავიდან მოღალატე დიდებულთა თავკაცი ვარსქენ პიტიახში – ეს მოხდა 484 წელს.

მართალია, ამ აჯანყებით ვახტანგ მეფემ ქართლი ირანელთა გავლენისაგან ვერ გაათავისუფლა, მაგრამ ირანის ტახტზე ასული ახალი შაჰი ვალარში აჯანყებულთა მიმართ დათმობებზე წავიდა. ვახტანგ მეფემ კვლავ განაგრძო ბრძოლა ქვეყნის გასაძლიერებლად.



ზემოთ, როცა ვახტანგ გორგასლის მცდელობით ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მოპოვებაზე ვსაუბრობდი, ამ მოვლენის თარიღი არ აღმინიშნავს. 468 წელს ქართლიდან გაძევებული მიქაელ ეპისკოპოსი კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დასაჯა და ვახტანგ მეფემ პეტრე კაპადოკიელის კურთხევა იმპერატორსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს სთხოვა. ამიტომ, ამ ბოლო დრომდე ფიქრობდნენ, რომ ავტოკეფალიის მოპოვებამდე, ქართლის ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა. მკვლევრები ყურადღებას არ აქცევდნენ იქვე არსებულ ცნობას, იმპერატორმა და პატრიარქმა ვახტანგის ელჩობა კონსტანტინოპოლიდან ანტიოქიას რომ „წარავლინეს“ და „მიუწერეს ანტიოქიის პატრიარქს“: „ჩვენ ვიცით, რომ აღრიდანვე, „უწინარესობის“ კანონიდან გამომდინარე, ქართლის ეკლესია თქვენი წმიდა საყდრისა იყო, „ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა“. ასევე მიუწერეს „ყოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისა“ და სთხოვეს პეტრე კაპადოკიელი კათალიკოსად, დანარჩენი 11 სასულიერო პირი, ვინც მას სურდა, სამუელთან ერთად ეპისკოპოსებად ეკურთხებინა.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, ქართლის ეკლესია რომ ანტიოქიის ეკლესიას ემორჩილებოდა, შემთხვევითი არ იყო. სირიის დედაქალაქი – ანტიოქია, რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის რელიგიურ, კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. მისი ეკლესია (ქრისტიანული თემი) თვით პეტრე მოციქულის მიერ იყო დაარსებული. ანტიოქიას „ღვთის ქალაქს“ (ბერძნ. „თეოპოლისი“) უწოდებდნენ. სწორედ ანტიოქიის ეკლესიის სიძლიერემ და დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა, III ს-ის დამდეგიდან მის ეპისკოპოსს არა მარტო რომის იმპერიის აზიური ნაწილის (თვით კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის ჩათვლით), არამედ იმპერიის ფარგლებს გარეთ არსებული ეკლესიებიც რომ ემორჩილებოდა (მათ შორის ქართლის, ეგრისის, სომხეთის). ანტიოქიის ეკლესიის გავლენაში მყოფი – კაპადოკიის ეკლესიიდან გამოსულმა მისიონერებმა იქადაგეს ამ ქვეყნებში ქრისტეს მცნება. მათ შეასრულეს გადამწყვეტი როლი, როგორც ქართლში, ისე ეგრისში (ასევე სომხეთში) ქრისტიანობის გამარჯვების საქმეში.

დაახლოებით 317 წელს გალატიიდან (ეს იყო კაპადოკიის მომიჯნავე მხარე. ძველი ქართველი ავტორი მას ბრანჯთა ქვეყანას უწოდებს) ქართლში ჩამოსულმა მთავარდიაკონმა ქართლის ეკლესიის პირველ ეპისკოპოსად იოანე აკურთხა. 325 წლის ბოლოს, კი ანტიოქიის ეპისკოპოსის ევსტათის მიერ ქართლის ეკლესიის კურთხევის შემდეგ, ქართლის ეკლესიაზე ანტიოქიის ეკლესიის ზემდგომობა დამყარდა. იმ დროიდან მოკიდებული, ქართლის ეკლესიის მეთაურებად ანტიოქიიდან გამოგზავნილი სასულიერო პირები ინიშნებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო მიქაელ ეპისკოპოსი. ახლა ვახტანგ მეფე ცდილობდა ქართლის ეკლესია ანტიოქიის ეკლესიის (451 წლიდან ანტიოქიის ეპისკოპოსი პატრიარქად იწოდა) გავლენისაგან გაეთავისუფლებინა.

რადგან კონსტანტინოპოლის პატრიარქი (კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსიც 451 წელს, ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე იწოდა პატრიარქად და იმპერიის აზიურ ნაწილში პირველ საჭეთმპყრობლად იქნა აღიარებული) და იმპერატორი (გავიხსენოთ იმპერატორი ლეონი ვახტანგის სიმამრი იყო) თანახმანი იყვნენ ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალია მიენიჭებინათ. ამ საქმისათვის, თითქოს, ხელი არაფერს არ უნდა შეეშალა. მაგრამ როდესაც ანტიოქიაში ქართველთა დელეგაცია ჩავიდა, იქ მონოფიზიტებს (ესენი აღიარებდნენ ქრისტეს ერთბუნებიანობას) და დიოფიზიტებს (აღიარებდნენ ქრისტეს ორბუნებიანობას), შორის ისეთი დაპირისპირება იყო, რომ პეტრე კაპადოკიელისა და სხვა სასულიერო პირების ხელდასხმა ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, ქართლის ეკლესიის ავტოკეფალურად აღიარება კარგა ხნით გადაიდო. როგორც ვახტანგის „ცხოვრებაშია“ ნათქვამი, ანტიოქიის საპატრიარქოსაგან ქართლის ეკლესიამ ავტოკეფალია ქართლის მოქცევიდან 170-ე წლისთავზე ე.ი. 487 წელს მიიღო. პეტრე კაპადოკიელი ქართლის კათალიკოსად ანტიოქიის პატრიარქმა – პეტრე ფულონმა აკურთხა. მანვე აკურთხა ეპისკოპოსებად სამუელ კაპადოკიელი და 11 სხვა სასულიერო მოღვაწე. ქართლში ჩამოსვლის შემდეგ პეტრე ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველი კათალიკოსი გახდა, სამუელი ვახტანგ მეფემ მცხეთის ეპისკოპოსად დაადგინა. დანარჩენმა 11-მა ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში დაიკავეს საეპისკოპოსო კათედრები. მეფემ ზოგი არასასურველი ეპისკოპოსი ახლით შეცვალა, ზოგი საეპისკოპოსო ახლად შექმნა. ეს იყო ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა. აკად. ივანე ჯავახიშვილის თანახმად, V ს. II ნახევრის ქართლის სამეფოში დაახლოებით 21 საეპისკოპოსო იყო.

\* \* \*

ვახტანგ გორგასლის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ქართველი ხალხის ხსოვნაში ყველაზე დიდი კვალი ქართლის სამეფოს ახალ დედაქალაქ თბილისში დაწყებულმა დიდმა სააღმშენებლო საქმიანობამ დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ გორგასლმა მხოლოდ სამუშაოების დაწყება მოასწრო, ხოლო სამეფო ტახტი მცხეთიდან თბილისში დაჩი მეფემ გადმოიტანა, ქართველი ხალხი თბილისის გადედაქალაქებას მაინც ვახტანგ გორგასალს მიაწერს. თბილისის დაარსებასთანაა დაკავშირებული ლამაზი ლეგენდა, რომელიც ყველა ქართველისთვისაა ცნობილი, მაგრამ მის შინაარსს ქვემოთ მაინც მოვიტან.

თქმულების მიხედვით, იმ დროს თბილისი და მისი მიდამოები ტყით ყოფილა მოცული. ერთხელ, როცა ვახტანგ გორგასალი ამალით ამ ადგილებში ნადირობდა, მონადირეთა წინ ხოხობი აფრინდა. მეფის მიმინო ხოხობს გამოედევნა. მალე ორივე ფრინველი თვალს მიეფარა. მეფე და მისი მხლებლები იმავე მხარისაკენ წავიდნენ და დიდი ხნის ძებნის შემდეგ ნახეს, რომ მიმინო და ხოხობი წყალში ჩავარდილიყვნენ და ჩაფუფქულიყვნენ.

მეფემ დაათვალიერა ის მიდამოები, სადაც მრავლად იყო: გრილი, თბილი და ცხელი წყლები. მეფეს ისიც მოახსენეს, რომ ამ წყლებს სამკურნალო თვისებები ჰქონდა. მეფემ იმ ადგილას ქალაქის აგება ბრძანა და თბილი წყლების გამო ქალაქს „ტფილისი“ (ძველად თბილი „ტფილად“ გამოითქმოდა) უწოდა. ძველი თბილისი ახლანდელი აბანოთუბნის მიდამოებში აშენდა.

ასეთია ლეგენდა, სინამდვილეში კი V ს-ისათვის თბილისს, როგორც დასახლებულ ადგილს დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. IV ს-ის შუა ხანებიდან კი თბილისში ირანელი პიტიანში იჯდა.

1958 წელს ქართველმა ხალხმა დიდი ზემოთ აღნიშნა თბილისის გადგაქალაქების 1500 წლისთავი (იგულისხმებოდა, რომ თბილისში 458 წელს გადაიტანეს სამეფო ტახტი მცხეთიდან). შეიქმნა 500 გვერდიანი გამოკვლევა „თბილისის ისტორია“, საყოველთაოდ ცნობილი „სიმღერა თბილისზე“ და სხვა. მაგრამ, თუ ჩემი ქრონოლოგიით ვიხელმძღვანელებთ 458 წელს ვახტანგ მეფე ახალი დაბრუნებული იყო ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობიდან და ირანელთა თავდასხმის მოსაგერიებლად ქვეყნის ციხე-სიმაგრეებს ამაგრებდა.

ვახტანგ მეფეს თბილისში რომ სააღმშენებლო სამუშაოები დაეწყო, იგი თავისუფალი უნდა ყოფილიყო ირანული გარნიზონისაგან. ასეთი დრო კი 484 წლიდან დადგა, როცა პეროზის დაღუპვის შემდეგ ირანელმა მოხელეებმა და ჯარმა ქართლი დატოვა. დაახლოებით 485 წლიდან ვახტანგ მეფემ თბილისში მშენებლობები დაიწყო, მაგრამ მისი დამთავრება არ დასცალდა. 488 წელს შაჰი ვალარში, მისივე ძმისწულმა – კავად პეროზის ძემ ტახტიდან გადააყენა და თვალები დათხარა. ამის შემდეგ, როცა ქვეყანა ცოტა მოძლიერდა, კავადმა ვახტანგ მეფესთან მოციქული გამოაგზავნა. მეფეს ასულს (მეორე მეუღლისაგან მეფეს ორი ძე და ერთი ასული ჰყავდა) და ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას სთხოვდა, რაზეც მეფემ უარი შეუთვალა.

როცა მეფესთან – მცხეთაში შაჰის ელჩი მოვიდა „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა... მაშინ ვახტანგ დღეთა მიწევნულ იყო ვითარ სამოციისა წლისა“.

488 წელს ირანის ტახტზე ახალგაზრდა, ენერგიული კავად I-ის ასულის შემდეგ ძირეულად შეიცვალა ვალარშის დროინდელი უნიათო პოლიტიკა. ჰუნებთან ხანგრძლივი ბრძოლის გამო, ქვეყანა შინაგანად დასუსტებული იყო. მისი ეკონომიკურად მოძლიერება მხოლოდ ბიზანტიიდან მიღებული ოქროთი შეიძლებოდა (ჯერ კიდევ იეზდიგერდ II-ის დროს დადებული ხელშეკრულებით კავკასიის ზეკარების დაცვის გამო, იმპერია ირანს 500 ოქროს უხდიდა). კავადმა კონსტანტინოპოლში ელჩები გააგზავნა და იმპერიისაგან მოითხოვა ან ოქრო გამოეგზავნათ, ან ომი მიეღოთ. ეს ელჩობა ჯერ კიდევ გზაში იყო, როცა ბიზანტიის იმპერატორის გარდაცვალების ამბავი გაიგეს (იმპერატორი ზენონი 491 წლის 9 აპრილს გარდაიცვალა). კავადმა ელჩებს დაავალა ოქრო ახალი იმპერატორისაგან მოეთხოვათ, მაგრამ, რადგან ამ თხოვნაზე მანაც უარი თქვა, ირანმა ბიზანტიის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ირანელთა ლაშქრის ერთი ნაწილი ვახტანგ მეფის დასასჯელად გამოემართა.

ირანელთა შემოჭრამდე, ვახტანგ მეფემ ქვეყანაში საგანგებო ღონისძიებები გაატარა: „წარავლინა ქადაგნი“ და მოსახლეობას მოუწოდა კავკასიის მთებში შეხიზნულიყო: „რამეთუ კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტერისა“. კახეთში, ლოპოტის ხევში – გახიზნეს დაჩი და სამეფო ოჯახი. უჯარმაში იყო ვახტანგ მეფე, ხოლო ერისთავები მცხეთაში იმყოფებოდნენ. 491 წლის<sup>1</sup> აპრილის ბოლოს ირანელთა ლაშქარი კახეთს მოადგა: „შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი\* და ჭერემისა და ველისციხის ციხეები“ და „ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა“. ქართლის ლაშქარიც იქ განლაგდა.

გადამწყვეტი ბრძოლებიც იორის ველზე მიმდინარეობდა – „სამ დღე ყოველთა დღეთა იბრძოდეს და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხვი“. სამეფო ბანაკში იმყოფებოდა პეტრე კათალიკოსიც. მეფემ მას უთხრა: „იცოდე, ირანელები ჩვენ ხარკის მიუცემლობის გამო კი არ გვებრძვიან, არამედ ქრისტეს რჯულის დატოვებისათვის. ჩემი განზრახვა ესაა, სჯულის დატოვებას, ქრისტეს სახელისთვის სიკვდილი სჯობს“-ო. მეფე ირანელებისადმი არავითარ დათმობას არ აპირებდა. გადამწყვეტი ბრძოლის წინ, მეფემ სამღდელოებას სთხოვა უჯარმის ციხესთან წმიდა რაჟდენის\* სახელზე აგებულ ტაძართან გადასულიყვნენ, რათა უსაფრთხოდ ყოფილიყვნენ. თვითონ კი ქართველთა ლაშქარი სამად გაყო: ქვეითები „კლდით კერძო მიავლინა“. ცალკე დააყენა პიტიანშები და სპასპეტი, ხოლო სადაც სპარსთა მეფე იყო, მასზე შეტევა თვით მეფემ ითავა – და ბრძოლის მეოთხე, „ნისლისაგან განცისკრებულ“ (განათებულ) ლამეს, ვახტანგი მოულოდნელად შეიჭრა მტრის ბანაკში, შაჰის კარავამდე მიაღწია და მოკლა შაჰის ძე. აი, ამ დროს „სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისასა“. დაჭრილ მეფეს ბრძოლის ველი არ დაუტოვებია – ბრძოლა შუადღემდე გაგრძელდა. თავგანწირვით მებრძოლმა მეფემ და მისმა მეომრებმა მრავლად გაჟლიტეს ირანელები, ცხენებიც მრავლად იგდეს ხელთ. მაგრამ მეფეს ჭრილობა აწუხებდა, ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო – იგი უჯარმის ციხეში გადაიყვანეს. ირანელთა ლაშქარი აიყარა იორის ველიდან და „ჩადგა რუსთავს“. რაც შეეხება კარნუ-ქალაქთან მდგომ ბიზანტიელთა ლაშქარს, იმათაც შეეხნენ ირანელები, მაგრამ დიდ სისხლისმღვრელ ბრძოლაში „ვერ სძლეს ერთმანეთსა“. მას შემდეგ კი, რაც ბიზანტიელებმა ვახტანგ გორგასლის დაჭრის ამბავი შეიტყვეს, აღარც უცდიათ ქართლში შემოსვლა. 491 წელს ბიზანტიელებმა ირანთან ზავი დადეს.

ვახტანგ მეფეს კი „დაუმძიდა წყლულება“, რადგან ისარი ფილტვში იყო შესული. ირანელებმა მოაოხრეს თბილისი, არმაზი, მცხეთის გალავნის გარეთ არსებული დასახლებები. უჯარმაში მყოფ მეფეს ჭრილობა თანდათან უმძიმდებოდა. როცა მეფემ სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, ანუ: „შეიტყო სიკუდილი თავისა თვისისა“, მიიხმო „კათალიკოსი, დედოფალი ელენე, ძეები, ყოველნი წარჩინებულნი“ და უთხრა: „მე ესერა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა“, ვმადლობ მის სახელს, რომ მის გამორჩეულ წმინდანებს არ დამაკლო. ჩემი თხოვნაა, მტკიცედ იდექით ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ეძიეთ სახელი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ვახტანგ გორგასლის სიკვდილის და შესაბამისად მისი ბოლო ბრძოლის თარიღად 502 წ. მიიჩნევდა.

და ქრისტესთვის სიკვდილი – „რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“. შემდეგ განაცხადა, რომ დაჩის აძლევდა სამეფო გვირგვინს, დაჩის ძმებს (ე.ი. ლეონს და მირდატს) კი დაუტოვა ტერიტორია ტაშისკარიდან და წუნდიდან მოკიდებული ვიდრე ბიზანტიის საზღვრამდე; ასევე დედოფალ ელენეს მზითვის მიწები „ეგრის-წყალსა და კლისურას შუა“. ძმები ამ ტერიტორიების ერისთავები უნდა ყოფილიყვნენ და დაჩის დამორჩილებოდნენ.

ანდერძის წარმოთქმის შემდეგ ვახტანგ მეფე გარდაიცვალა.

ვახტანგ მეფის გარდაცვალებამ დიდი გლოვა გამოიწვია მთელ ქართლის სამეფოში. მეფის სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო როგორც წარჩინებულთათვის, ისე „ყოველი ერისათვის“. ხალხი თავს ნაცარს იყრიდა და სიკვდილს ნატრობდა, ტირილისა და გოდებისაგან „იძვროდა ქვეყანა და მორწმუნე ერი ჰნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესათვის მოიკლა“.

უჯარმიდან მეფე წაასვენეს მცხეთაში და დაკრძალეს მის მიერვე აგებულ სვეტიცხოველის ტაძარში\*. ლ. სანიკიძის სიტყვით: „ბუმბერაზის სამარადჟამო სამკვიდრებელს ბუმბერაზი ლოდი დასდეს... ხალხში განუმეორებელი ხსოვნა დატოვა სახელოვანმა ხელმწიფემ. ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ „იალბუზის გმირზე“. ამბობდნენ: გაქცეულ ირემს მეფე, იარაღით შეჭურვილი რომ ყოფილიყო, მაინც დაეწეოდაო. შეჭურვილ ცხენს მხარზე მოიდებდა და მცხეთიდან არმაზ-ციხეზე მუხლჩაუხრელად ავიდოდაო... საუკუნეთა მანძილზე ქართველნი და მათი მტერ-მოყვარენი გოცებულნი შესცქეროდნენ სვეტიცხოველში გამოფენილ უზარმაზარ ტანსაცმელსა და საომარ აღჭურვილობას. ქართულ სამეფო დროშას ეწოდა მისი სახელი – „გორგასლიანი“.

## განმარტებითი ლექსიკონი \*

**აბაშეთი** – ეთიოპია. აქ: ირანის აღმოსავლეთი რეგიონი სისტანი.

**ანთიპატი, ანთიპატრიკიოსი-ბიზანტიური** – საკარისკაცო ტიტული. ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით, იმპერატორის ნაცვალს ნიშნავდა.

**დრაჰკანი** – ოქროს ფულის ერთეული. ეტიმოლოგიურად აქემენიდი მეფის დარიოსის მოჭრილს ნიშნავს (დარეჰული). ბიზანტიური დრაჰკანი 4,55 გრამი იყო.

**აქემენიანთა იმპერია** – ძვ. წ. 558-330 წლებში არსებობდა. მას ალექსანდრე მაკედონელმა მოუღო ბოლო.

**„ვიგრი“** – სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ზღვის თევზია; ამ სახელის ხმელეთის ცხოველიც არის.

**კამბეჩოანი** – ქიზიყის ძველი სახელი იყო.

**კარნუ-ქალაქი** (თეოდოსიოპოლი) – ახლანდელი ქ. ერზერუმი (არზრუმი) ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში.

**მარზანი** – ირანული სიტყვაა და ქვეყნის მცველს ნიშნავს.

**მირიან მეფე** – სინამდვილეში ქართლის მეფე ლევის (რევი) ძე იყო. უძველეს ქართულ მატრიანეში - „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკაში რევი 26-ე მეფეა დასახელებული და ნათქვამია „რევ მამად მირიანისი“.

**მოგვთა** – მცხეთის ერთ-ერთი უბანი იყო, სადაც ცეცხლთაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ.

**„მცირე ქუშანი“** – V ს-ის ქართლში ინდოეთში არსებული „მცირე ქუშანთა“ სახელმწიფო რომ სცოდნიათ, ამას მოწმობს ბიბლიის ტექსტის ძველი ქართული თარგმანი.

**მცირე ხაზარეთის** (მდინარეში მდ. ყუბანი იგულისხმება) – ლეონტი მროველის ცნობით, ეს მდინარე ეგრისის სამეფოს ჩრდილო საზღვარი (ე.ი. მეგრელ-ლაზთა განსახლების) იყო.

**ნებროთი** – იყო ბიბლიური პერსონაჟი, სწორუპოვარი მონადირე. ბაბილონის სამეფოს მითიური დამაარსებელი. მისი სახელი დაკავშირებულია ძველ საქართველოსთანაც.

**პეროჟა-კაფა** – (იგივე ხალხალა) ქართლ-აღბანეთის საზღვარზე მდებარე აღბანური ქალაქი იყო.

**რაჟდენი** – იყო ვახტანგ მეფის პირველი მეუღლის ბალენდუხტის მამამძუძე, რომელიც გაქრისტიანდა. 460 წელს ირანელებმა სოფ. წრომში (ახლანდ. ხაშურის რაიონი) წამებით მოკლეს. ვახტანგ მეფემ მისი ნეშტი წრომიდან სოფ. ნიქოზში გადაასვენა და იქ საეპოსკოპოსო შექმნა. ქართულმა ეკლესიამ კი რაჟდენი წმინდანად შერაცხა.

**სამშვილდე** – ამ უძველესი და უდიდესი ციხე-ქალაქის ნანგრევები ქვემო ქართლში, ახლანდელ თეთრი წყაროს რაიონში მდებარეობს.

**სეფეწული** – თავდაპირველად სამეფო საგვარეულოსა და სამეფო სახლის წევრს ეწოდებოდა. საერთოდ საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელი იყო.

**სვეტიცხოველი** – სვეტიცხოვლის ახლანდელი ტაძარი ძველზე – ვახტანგ გორგასლის მიერ აგებულ ტაძარზეა დაშენებული.

**სინოპი** – ყველაზე მოხერხებული ნავსადგურია შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. იგი პონტოს სამეფოს დედაქალაქი იყო. იქ დაიბადა ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება მითრიდატე VI ევპატორი – პონტოს სამეფოს მბრძანებელი ძვ. წ. 120-63 წწ. თვით პონტოს სამეფოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველური წარმომავლობის იყო.

**სომხითი** – ჯუანშერის ეს ცნობა საეჭვოდ მიაჩნიათ. „სომხითად“ ძველად ქვემო ქართლი იწოდებოდა, რაც ისედაც ქართლის სამეფოში შედიოდა.

**ფანდაკი** – მაღალქუსლიანი ქოში.

**შვიდეული ერთი** – შვიდი დღე, ერთი კვირა.

**ცეცხლთაყვანისმცემლობა** (იგივე ზოროასტრიზმი, მაზდეანობა) – სასანიანთა ირანის სახელმწიფო რელიგია იყო. სასანიანები მას დამორჩილებულ ქვეყნებში ძალდატანებით ავრცელებდნენ. ქართლის არაერთ მხარეში (მაგ. თბილისში, ნეკრესში, ლოპოტის ხევში, რეხაში (და სხვაგან) აიგო ცეცხლის ტაძარი – ათეშგაჰი (სპარს. „ათეშ“ – ცეცხლი, „გაჰ“ – ადგილი). განსაკუთრებით გრანდიოზული იყო ახლანდელ ქარელის რაიონში, დედოფლის მინდორზე არსებული ტაძარი.

**ციხე-გოჯი** – ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო. ბერძნული წყაროების არქეოპოლისი. ციხის ნანგრევები ახლანდელ სენაკის რაიონში მდებარეობს.

**წყრთა** – ძველ საქართველოში იყო სივრძის საზომი ერთეული. შინაარსობრივად გამოსახავდა მანძილს იდაყვიდან შუა თითის წვერამდე. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, წყრთა – ნახევარი ადლი – დაახლ. 50,6 სმ. იყო.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990.
- გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991.
- გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991.
- გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში, „მაცნე“ ისტორიის სერია, 1982 №4.
- გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002.
- გოილაძე ვ., ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, „მნათობი“, 1984 №11.
- კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, თბ., 1994.
- ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
- მუსხელიშვილი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003.
- ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. წიგნში – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.